# აჭარა

გამოცემის 103-ე წელი

www.gazetiajara.ge

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№49 (25.073) ხუთშაბათი, 11 - 15 მაისი, 2023 წ. 50 თეთრი


**გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით**



დღეს მოსალოდნელია დროგამოშვებით წვიმა, ცვალებადი მიმართულების ქარი – 10-15 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 15-20, შიდამთიან რაიონებში - 13-18 გრადუსი სითბო. ზღვის წყლის ტემპერატურა 15 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 765 მილიმეტრი.

ხვალ მოსალოდნელია უნალექო ამინდი, მომდევნო 2 დღეს - დროგამოშვებით წვიმა.

## კრიალოსანი N იუსი

ბერლინში ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების სამუშაო შეხვედრა გაიმართა. ამბასადორიალი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ილია დარჩიაშვილმა გახსნა. განიხილეს წევრ სახელმწიფოებთან ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის საკითხები, ასევე საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის მიმდინარეობა, მათ შორის, 12 რეკომენდაციის იმპლემენტაციის პროცესი, ევროინტეგრაციის გზაზე წევრი სახელმწიფოების მხარდაჭერა და გაფართოების პაკეტის ფარგლებში ქვეყნისთვის წარმოქმნილი ახალი შესაძლებლობები.

* * *

ვიზების მოხსნა არ გვჭირდება, არც ფრენების აღდგენა, სანამ რუსეთი მთელი მსოფლიოსთვის აგრესორია. ოკუპანტის ასეთი ჟესტი უდროო და მიუღებელია, - ასე გამოეხმაურა საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუსეთის მიერ საქართველოს მოქალაქეებისთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებას. ვლადიმერ პუტინის განკარგულებით, სავიზო რეჟიმი 15 მაისიდან გაუქმდება. ამასთან, რუსეთის პრეზიდენტმა რუსული ავიაკომპანიებისთვის საქართველოში ფრენებზე აკრძალვაც მოხსნა.

* * *

რუსეთმა აღადგინა ფრენები, რაც მისი მხრიდან დაწესებული შეზღუდვა იყო და არ იყო საქართველოს მხრიდან დაწესებული. სავიზო რეჟიმს რაც შეეხება, რაც შეიძლება ბევრი ჩვენი თანამოქალაქისთვის, ასე ვთქვათ, შეშფოთების საგანი იყოს, რუსეთის მოქალაქეებისთვის თავად მიხეილ სააკაშვილმა ომის შემდეგ გააუქმა, შესაბამისად, ამ კუთხით არაფერი შეცვლილა, - განაცხადა „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნინო წილოსანმა კრემლის გადაწყვეტილების კომენტირებისას.

* * *

დამთავრდა დრო, როცა „ნაციონალურ მოძრაობაში“ ერთ ოთახში მიიღებოდა გადაწყვეტილებები, - განაცხადა „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე ლევან ხაბეიშვილმა შიდაპარტიულ არჩევნებთან დაკავშირებით საუბრისას. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური საბჭოს სრულად ფორმირებისა და პარტიული ორგანიზაციების სტრუქტურების საბოლოოდ ჩამოსაყალიბებლად, მთელი საქართველოს მასშტაბით, პარტიის რაიონული (საქალაქო) ორგანიზაციის თავმჯდომარეების არჩევნებისთვის კანდიდატების რეგისტრაცია ოფიციალურად დასრულდა. 63 მუნიციპალიტეტიდან კანდიდატები 62 მუნიციპალიტეტში დარეგისტრირდნენ.

მოამზადა
ია შველიძემ

# მიზანი – სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება

**ოთარ ცინარიძე 599 85 21 14**

გუშინ აჭარის მთიანეთში იმყოფებოდნენ საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი, მისი მოადგილეები, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ვიქტორ სანიკიძე, საქართველოს რაგბის კავშირის გამგეობის თავმჯდომარე დავით კაჭარავა, პარლამენტარი ანზორ ბოლქვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ბადრი ნაკაშიძე. მათ მოინახულეს მუნიციპალიტეტებში არსებული სპორტული ბაზები, გაესაუბრნენ თვითმმართველობის ხელმძღვანელებს, სპორტის ადგილობრივ სპეციალისტებს, ესტუმრნენ შუახევის სასპორტო სკოლის დარბაზს, დაესწრნენ კალათბურთში შუახევისა და ნიგაზეულის საჯარო სკოლების შეჯიბრს. დაბა შუახევში შარშან გახსნილი ფეხბურთის სტადიონიც დაათვალიერეს და გარკვეული შენიშვნებიც გამოთქვეს ახალდაგებულ ხელოვნურ საფართან დაკავშირებით.

შუახევში სამუშაო შეხვედრის დასრულების შემდეგ კომენტარი ირაკლი მეძმარიაშვილს ვთხოვეთ.

- ამ რანგში აჭარის მთიანეთში პირველად ვარ. გადავწყვიტე, კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილესთან ერთად მომენახულებინა სპორტული ინფრასტრუქტურა. თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ გაკეთებული ძალიან ბევრია, გასაკეთებელიც - საკმაო. მთაში სპორტის ყველა სახეობაში საკმაო რესურსია. ნორმალური სპორტული ბაზები, ინფრასტრუქტურა არსებული რესურსის ათვისების შესაძლებლობას მოგვცემს. ბოლო დროს ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, ოლიმპიურ თამაშებზე აქაურმა მოჭიდავეებმა გაიბრწყინეს. იმედის მომცემნი არიან ნორჩი ფეხბურთელები, კალათბურთელები. განსაკუთრებული აქცენტი გოდერძის სპორტულ ბაზაზეა გადატანილი. ეს უნიკალური არენა მალე საერთაშორისო შეჯიბრების ეპიცენტრად იქცევა. როგორც მითხრეს, შუახევს მალე ფეხბურთისა და რაგბის კვალიფიციური გუნდები ეყოლება. მოედანი უმაღლესი კლასისაა. ასეთი არენა ქედაშიც უნდა გაკეთდეს. ქვეყნის მასშტაბით აგებულმა სპორტულმა არენებმა უკვე შედეგები მოგვცა. კალათბურთში, რაგბიში, თუნდაც ფეხბურთში, აღარაფერს ვამბობ ჭიდაობის სახეობებზე, ჩვენი წარგზავნილები წარმატებებს რომ აღწევენ, ეს კეთილმოწყობილი არენების, დარბაზების შედეგიცაა. ამის მაგალითია თუნდაც ბოლო დროს ბათუმის „დინამოს“ წარმატებები, ბათუმელი რაგბისტების გამარჯვებები. ესაა მიზანი - განვავითაროთ სპორტული ინფრასტრუქტურა და მსოფლიოს ვაჩვენოთ რეგიონში არსებული სპორტული რესურსის ათვისების მაგალითი.



პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა კომიტეტის წევრებს მეგზურობას ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები უწევდნენ.

# ფაშიზმზე გამარჯვების დღე

**მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97**

78-ე წელია, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს აღვნიშნავთ. მეორე მსოფლიო ომში საქართველოდან 700 ათასი მებრძოლი წავიდა, მათგან 300 ათასი დაიღუპა. აჭარიდან 24 ათასი იბრძოდა და 10 ათასი დაიღუპა. 1945 წლის 8 მაისს გერმანიამ კაპიტულაცია გამოაცხადა, 9 მაისი ფაშიზმზე გამარჯვების დღედ გამოცხადდა. აჭარიდან საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მინიჭებული ჰქონდა 12 მებრძოლს, პირველი აჭარელი გმირი კი მფრინავი ისრაფილ ჯინჭარაძე იყო, რომელიც 1943 წელს დაიღუპა და უკრაინაშია დაკრძალული.

ამ დღესთან დაკავშირებით, აჭარის ხელისუფლების, საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა, ბათუმის საზოგადოებრიობამ ყვავილებით შეამკეს ლეგენდარული ქართველი კაპიტნის, საბჭოთა კავშირის გმირ ანატოლი კაჭარავას საფლავი, რომელსაც 9 მაისს 123 წელი შეუსრულდებოდა. მან საომარი მოქმედებების დროს არაერთი სახიფათო რეისი შეასრულა და გმირობის მაგალითად იქცა.

- მინდა, მოგილოცოთ ფაშიზმზე გამარჯვების დღე, ამ გამარჯვებაში განსაკუთრებით დიდია საქართველოს და ქართველი ხალხის წვლილი. დიდება გმირებს, რომლებიც ფაშიზმის წინააღმდეგ იბრძოდნენ, უკეთესი მომავლისთვის და უკეთესი მსოფლიოსთვის, - აღნიშნა აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ.

- ვულოცავ დღევანდელ დღეს ცივილიზებულ სამყაროს, ვინაიდან მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვება ძალიან დიდი მოვლენაა. ვულოცავ გამარჯვების მონაწილეებს და ყველა იმ ადამიანს, ვისთვისაც მშვიდობა მნიშვნელოვანია, - თქვა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ჩიქოვანმა.

- ყოველ წელს ჩამოვდივარ მამის საფლავზე. ჩემთვის დიდი პატივია, რომ თანაქალაქელები ასე აფასებენ და პატივს მიაგებენ მამაჩემის ხსოვნას. მადლობას ვუხდი ჩემს ბათუმს, მეზღვაურებს, ყველას, ვინც მის ამაგს აფასებს, - გვითხრა დოდო კაჭარავამ.

აჭარის ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა გაერთიანება „ომგადახდილის“ გამგეობის თავმჯდომარე დავით ჯიჯავაძემ გვითხრა, რომ ამჟამად ბათუმში სულ სამი ვეტერანია ცოცხალი - ქეთევან ლორია, რომელსაც 14 მაისს 100 წელი შეუსრულდება, ევგენი დუნდუა და ვასილი ტოცკი. საქართველოს პრემიერის განკარგულებით, ომის მონაწილე ყველა ვეტერანს 1000-1000 ლარი დაერიცხა, ხოლო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრებს - 500 ლარი, ისინი ადგილობრივი მერიებისგანაც გარკვეულ თანხას მიიღებენ. ბათუმის მერიამ 600 ლარი გასცა. ვეტერანებისთვის ფულადი ჯილდო ბათუმის ნავთობტერმინალის ხელმძღვანელობამაც გაიღო.




ISSN 2720-8702



## გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

# გამარჯვების დღე საზეიმოდ აღნიშნეს

თამაზ მგზავრიძე 27 48 94

**ხულო**

ფაშიზმზე გამარჯვების დღესთან დაკავშირებით, ხულოს მუნიციპალიტეტის მერმა ვახტანგ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძემ, მერიის, საკრებულოსა და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად, დაბა ხულოს ცენტრში არსებული მეორე მსოფლიო ომში დაღუპულ გმირთა მემორიალი ყვავილებით შეამკეს.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით, ფაშიზმზე გამარჯვების 78-ე წლისთავთან დაკავშირებით, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები ერთჯერადად 1000 ლარს, ხოლო მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ოჯახის წევრები - 500 ლარს მიიღებენ.

მეორე მსოფლიო ომში ხულოს მუნიციპალიტეტიდან 750 მეომარი მონაწილეობდა. მათგან 247 გარდაცვლილი და უგზო-უკვლოდ დაკარგულია.

**შუახევი**

მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა უკვდავსაყოფად, დაბა შუახევში არსებული მემორიალი შუახევის მუნიციპალიტეტის მერმა ომარ ტაკიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძემ, თვითმმართველობის, საზოგადოების წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს და დაღუპულთა ხსოვნას პატივი მიაგეს.

დამსწრეთ მიესალმნენ ომარ ტაკიძე, როსტომ ლორთქიფანიძე, შუახევის კულტურის ცენტრის დირექტორის მოადგილე ვახტანგ გოგრაჭაძე.

მეორე მსოფლიო ომში 200-ზე მეტი შუახეველი იბრძოდა. მესამედზე მეტი აღარ დაბრუნებულა. დაბრუნებულთაგან დღეს არცერთი ცოცხალი აღარაა.

მუნიციპალიტეტის პასუხისმგებელი მუშაკები სოფლებში გავიდნენ და იქ დადგმული მემორიალები ყვავილებით შეამკეს.

**ქედა**

ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე ამირან ცინცაძემ, ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელებმა, ხანდაზმულთა კლუბის წევრებმა და ადგილობრივი თვითმმართველობისა და საზოგადოების წარმომადგენლებმა დაბა ქედის და ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრებში არსებული გმირთა მემორიალური დაფა გვირგვინითა და ყვავილებით შეამკეს და პატივი მიაგეს მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ხსოვნას.



ომში ქედიდან 800-მდე ადამიანი იბრძოდა, რომელთა უმრავლესობა უკან არ დაბრუნებულა.

ფაშიზმზე გამარჯვების 78 წლისთავთან დაკავშირებით, კულტურის სახლთან არსებულმა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ელესამ“ შეასრულა საგალობლები, ხოლო ახალგაზრდებმა წაიკითხეს ლექსები.

ღონისძიება ქედის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა და ძეგლთა დაცვის სამსახურის პროგრამის ფარგლებში გაიმართა.

# საიუბილეო თარიღთან შესახვედრად

ცოტნე ცაბაძე 27 48 93

წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საქველმოქმედო საქმიანობაზე ისაუბრეს ქედაში გამართულ ღონისძიებაზე. გაიმართა საქველმოქმედო კონცერტი. წითელი ჯვრის მოხალისეებმა, უჩხითის, წონიარისის საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, ასევე, ქედის სათემო ცენტრის და სახელოვნებო სკოლის აღსაზრდელებმა თავისი ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა გამართეს.

საქველმოქმედო აქცია საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ქედის ფილიალის ორგანიზებით გაიმართა.

* * *

ანალოგიური ღონისძიება ხულოშიც გაიმართა.



ხულოს მუნიციპალიტეტის მერი ვახტანგ ბერიძე, საკრებულოს თავმჯდომარე რენარ ბოლქვაძე და თვითმმართველობის წარმომადგენლები, საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების ხულოს ფილიალის ორგანიზებით გამართულ ღონისძიებას დაესწრნენ და მონაწილეებს მიესალმნენ.

მოეწყო წითელი ჯვრის მოხალისეების მიერ დამზადებული სხვადასხვა აქსესუარისა და პროდუქტის გამოფენა-გაყიდვა, პირველადი დახმარების სიმულაცია.

- საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება მოქმედებს როგორც ნებაყოფლობითი, ჰუმანიტარული, არასამთავრობო, დამოუკიდებელი ორგანიზაცია. საქმიანობას ახორციელებს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დღეს საზოგადოებას ჰყავს 15 000-ზე მეტი რეგისტრირებული მოხალისე და აქვს 40 ფილიალი, 27 საქმიანობათა ცენტრი, 2 მობილური ჯანდაცვის კაბინეტი და იმუნიზაციის ცენტრი. ახლა საქართველოში წითელი ჯვრის საზოგადოების დაარსების 105-ე საიუბილეო წელია, - გვითხრა ვახტანგ ბერიძემ.

# საჯარო ბიბლიოთეკას უკრაინულენოვანი წიგნები საჩუქრად გადაეცა

ხატია იაშვილი 555 18 48 88

***რამდენიმე დღის წინ საქველმოქმედო ფონდ „ალილო - 2015“-ის მოთხოვნით და უკრაინაში ა/ო „შავი ზღვის ქალთა“ ორგანიზებით, შეგროვდა საბავშვო ლიტერატურა - ლექსები, მოთხრობები და ზღაპრები, ეს წიგნები კი საჩუქრად აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას გადაეცა***

როგორც ორგანიზატორებმა გვითხრეს, უკრაინულენოვანი წიგნების საჭიროება მას შემდეგ დადგა დღის წესრიგში, რაც უკრაინიდან ომის გამო დევნილების რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში მკვეთრად გაიზარდა. შესაბამისად, გაიზარდა აღნიშნულ წიგნებზე მოთხოვნაც.

„საქველმოქმედო ფონდ „ალილო-2015“-ის ინიციატივითა და უკრაინელი პარტნიორების თანადგომით განხორციელდება პროექტი - „უკრაინული წიგნი უკრაინელებისთვის ბათუმში“. ფონდის წარმომადგენლები უკრაინაში რუსული აგრესიის დაწყებიდანვე აქტიურად ჩავერთეთ იძულებით გადაადგილებულ უკრაინელთა საჭიროებებზე ზრუნვაში. სხვადასხვა პროექტზე მუშაობისას, სხვა საჭიროებებთან ერთად, გამოიკვეთა წიგნების აუცილებლობა. საახალწლოდ თოვლის ბაბუისთვის მიწერილ წერილებში ბავშვების უმრავლესობა მშობლიურ ენაზე დაწერილ წიგნებს ითხოვდა, თან იმ იმედით, რომ ქართველი თოვლის ბაბუა ამას უთუოდ შეძლებდა. მიუხედავად ჩვენი მცდელობისა, ვერ მოხერხდა უკრაინულენოვანი წიგნებით დასაჩუქრება და ჩავანაცვლეთ ქართულით. საჩუქრების გადაცემის დროს 9 წლის უკრაინელმა თამილამ ცრემლი ვერ შეიკავა და გულწრფელად მითხრა: - ზიმლარ, მართალია, ვცდილობ ქართულის სწავლას, მაგრამ ქართულად წიგნის წაკთხვას ჯერ ვერ შევძლებ, როგორ მინდოდა მშობლიურ ენაზე დაწერილი წიგნის წაკითხვის შესაძლებლობა მქონოდა. პატარა თამილას ემოციამ მოსვენება დამიკარგა. დავუკავშირდი ჩვენს უკრაინელ პარტნიორებს და მათთან ერთად შევძელით უკრაინელი ბავშვებისთვის წიგნების ჩამოტანა, რომელიც ბათუმის საბავშვო ბიბლიოთეკას გადავეცით. სწორედ აქ არის სივრცე, სადაც უკრაინელი ბავშვები პროფესიონალი პერსონალის დახმარებით შეძლებენ წაიკითხონ, იმსჯელონ და შეიქმნან საინტერესო გარემო“, - გვითხრა ფონდ „ალილო - 2015“-ის და პროექტის წარმომადგენელმა ზიმლარ ბერიძემ.



ალსანიშნავია ისიც, რომ აკაკი წერეთლის სახელობის ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, რომლებიც ბიბლიოთეკაში უკრაინელი ბავშვებისთვის სხვადასხვა აქტივობას ახორციელებენ.

„დღეს ძალიან მნიშვნელოვანი დღეა - ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკას საჩუქრად გადმოეცა უკრაინულენოვანი წიგნები! ისინი განთავსდება ბიბლიოთეკის საბავშვო-ახალგაზრდობის განყოფილებაში (ჯავახიშვილის ქ. №72). ბიბლიოთეკა ბათუმში დროებით მცხოვრებ უკრაინელ ბავშვებს სთავაზობს უფასო რეგისტრაციას, ინტერნეტრესურსებზე თავისუფალ წვდომას, წიგნის გაცემისა და ადგილზე მკითხველის მომსახურების სერვისს, ბიბლიოთეკის სივრცეს შეხვედრებისა და სხვადასხვა აქტივობის ჩასატარებლად“, - გვითხრა ბათუმის საჯარო ბიბლიოთეკის დირექტორის მიადგილე ნატო ჭყონიამ.

ამ ეტაპზე ბათუმში 900-ზე მეტი უკრაინელი მოსწავლე სწავლობს სხვადასხვა ქართულ სკოლაში, ხოლო 500-ზე მეტი სკოლამდელი ასაკის ბავშვი ცხოვრობს. „მოხარული ვარ, რომ ახალგაზრდები გაეცნობიან წიგნების საოცარ სამყაროს: ზღაპრებს, უკრაინული ლიტერატურის კლასიკოსების მოთხრობებს, უკრაინის თანამედროვე მწერლების ნამუშევრებს. ვხედავ, რომ ბავშვებს თვალები სიხარულისგან უბრწყინავთ, რადგან ჩამოუვიდათ წიგნები მშობლიურ ენაზე, დედის ენაზე, ძვირფასი უკრაინის ენაზე. ბავშვებს საშუალება აქვთ, მოინახულონ კულტურული განათლების ბიბლიოთეკა-ცენტრი, მასწავლებლებს კი - დაგეგმონ და გამართონ შემოქმედებითი შეხვედრები, ლიტერატურული კაფეები, პოეზიის ფესტივალები. მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩართულია ამ პროექტში. მშვიდობას და კეთილდღეობას გისურვებთ თქვენ, ჩვენო ძვირფასო ქართველო მეგობრებო“, - აღნიშნა მე-20 სკოლის უკრაინული სექტორის კოორდინატორმა, უკრაინული ენის მასწავლებელმა ირინა შევჩენკომ.

შეხვედრას ბათუმის მე-20 საჯარო სკოლის უკრაინული სექტორის მოსწავლეები დაესწრნენ. წიგნები საბიბლიოთეკო წესით დამუშავდება და უახლოეს მომავალში ბათუმში მცხოვრები დევნილი უკრაინელი ბავშვებისთვის ხელმისაწვდომი იქნება.

**ამბები**

# „ძალა ერთობასა და სიყვარულშია“

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ამ დღეებში ბათუმში ზოიძეთა საგვარეულო შეკრება გაიმართა. ქვეყნის ყველა რეგიონიდან ამ გვარის 400-ზე მეტი წარმომადგენელი მოვიდა შეხვედრაზე, რომელიც სითბოთი და სიყვარულით იყო გაჯერებული.

შეკრება საგვარეულო კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა აკაკი ზოიძემ გახსნა.

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს წუთისოფლიდან ნაადრევად წასულ გვარიშვილებს: პოეტ შოთა ზოიძეს, ცნობილ პედიატრ დავით ზოიძეს, შინაგან საქმეთა სამინისტროს ღვაწლმოსილ მუშაკს თამაზ ზოიძეს და სხვებს.

საგვარეულოს საქმიანობის შესახებ ისაუბრეს სულიკო, ჟორა, რომან ზოიძეებმა, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გელა ზოიძემ, ბრილის საჯარო სკოლის დირექტორმა, პოეტმა თემურ ზოიძემ, აბულაძეთა და გაბაიძეთა საგვარეულო კავშირების ეთნარქებმა ვახტანგ აბულაძემ და ჯამბულ გაბაიძემ. ითქვა, რომ ზოიძეები ერთ-ერთი გამორჩეული, ცნობილი და გავრცელებული გვარია საქართველოში. ქვეყანაში 6000-მდე ზოიძეთა გვარის მატარებელია.

გვარი სახელოვანი წარმომადგენლებით ამაყობს. მათ შორის არიან მეორე მსოფლიო ომის მონაწილენი, უგზო-უკვლოდ დაკარგული გმირები, დამოუკიდებელი საქართველოს ერთიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვაჟკაცები, შინდისის გმირი რომან ზოიძე, მშვიდობიან პერიოდში ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართული პიროვნებები. გვარს ჰყავს მეცნიერები, მაღალი რანგის სპეციალისტები, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, მწერლები, პოეტები...

მოწიწებით გაიხსენეს ქობულეთელი პოეტი ქალი, მრავალშვილიანი დედა სევი ზოიძე, რომელმაც ცხრა ვაჟკაცი გაუზარდა ქვეყანას და ცხრავე მშობლიური კუთხის განთავისუფლებას შესწირა. ასევე გაიხსენეს აჭარის მთიანი სოფლების განათლების და კულტურის დიდი ქომაგი იაკობ ზოიძე, სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, პარლამენტარი აკაკი ზოიძე, ცნობილი მსახიობი იუსუფ ზოიძე, 15-მდე წიგნის ავტორი, პუბლიცისტი ვახტანგ ზოიძე, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ბესარიონ ზოიძე, აჭარის ყოფილი მთავარი თერაპევტი დავით ზოიძე, ცნობილი პედიატრი დავით ზოიძე, აღიარებული პოეტები შოთა, ზურაბ ზოიძეები.

- საგვარეულო კავშირი დღენიადაგ ზრუნავს გვარიშვილებს შორის კავშირის განმტკიცების, ტრადიციების, ეროვნული ფასეულობების დაცვისა და გამრავლებისათვის,- გვითხრა ეთნარქმა აკაკი ზოიძემ.

შეკრებაზე ღვაწლმოსილი, ღირსეული გვარიშვილები: მსოფლიო სამგზის და ევროპის ხუთგზის ჩემპიონი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში რამაზ ზოიძე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის დარგის ღვაწლმოსილი მუშაკი შუქრი ზოიძე, სამშენებლო კომპანია „რეალის“ ხელმძღვანელი ჯუმბერ ზოიძე, ადიგენის მუნიციპალიტეტის ლელოვანის საჯარო სკოლის უფროსი მასწავლებელი ნათელა ზოიძე, 90 წლის ვეტერანი მიხეილ ზოიძე საპატიო სიგელებით დააჯილდოვეს.

# „ათჯერ მეტის გაკეთება შეიძლებოდა სახელმწიფოს თანადგომით“

*ორიოდ თვის წინათ გამოქვეყნებულ წერილში („აჭარა“ №5, 19-20 იანვარი) „კოოპერაცია გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს“ შევეცადეთ, „აჭარკოოპკავშირის“ თავმჯდომარის ყოფილ მოადგილე ომარ შამილიშვილთან საუბრისას საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა, რამდენად უგუნური საქციელი იყო წინა საუკუნის ბოლოსა და 21-ე საუკუნის დასაწყისში კოოპერაციული სისტემის ნგრევა, როგორი ზიანი მიაყენა ამან ქართულ ეკონომიკას და რა მნიშვნელოვანია დღეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სისტემის აღორძინება. ეს ძალიან საყურადღებო თემაა და თავიდანვე აღვნიშნეთ, რომ პერიოდულად მივუბრუნდებოდით*

*სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაზე საუბრისას, არ უნდა დავგვავიწყდეს, რომ იგი განვითარებულია ყველა წარმატებულ ქვეყანაში. ვფიქრობთ, ბატონი ომარის შეხედულებაში, რომ კოოპერაციის სისტემის აღდგენა-გაძლიერება სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას ეკონომიკურად წელში გამართავს, რაც მთელი ქვეყნის ეკონომიკაზეც მოახდენს დადებით გავლენას, არის რაციონალური მარცვალი.*

*ადრეც ვთქვით და გავიმეორებთ, რომ საქართველოში ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და სოფლად დასაქმების პრობლემების გადასაჭრელად კოოპერაცია, მართლაც, გადამწყვეტ მნიშვნელობას იძენს. საქართველოში ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, მაგრამ კოოპერაცია რთულად იკიდებს ფეხს. საჭიროა, სოფლად მცხოვრებ ადამიანებამდე კოოპერაციის იდეის სწორად მიტანა. აუცილებელია მათთვის ახალი, რეალური შეთავაზებები, ახალი ბაზრები... ნათელია, რომ საქართველოს ეკონომიკის საგრძნობი აღმავლობისთვის ახალი, აღმოსავლეთ ევროპის ბაზრები აუცილებელია. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია განვითარების შემთხვევაში ამის შესაძლებლობას მოგვცემს, თუმცა სახელმწიფომ მეტი უნდა იღონოს ამ მიმართულებით.*

*საკმაოდ დიდი როლი ენიჭება ამ საქმეში მასმედიასაც. სწორედ ამიტომ დღეს ამ სფეროს კიდევ ერთ წარმომადგენელს, აგრონომ* ***ომარ ქათამაძეს*** *ვესაუბრებით, რომელიც თავად გამოეხმაურა ჩვენს წერილს და, აი, რატომ:*

- ჩემთვის ძალიან ახლობელი და გასაგებია ბატონი ომარ შამილიშვილის გულისტკივილი სოფლად მცხოვრები მშრომელების დასაქმების, მათი მოწეული პროდუქციის რეალიზების, ქალაქის მოსახლეობის სოფლის პროდუქტებით მისაღებ ფასებში მომარაგების პრობლემებთან დაკავშირებით. სამწუხაროდ, დღეს საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქციით ვაპურებთ ჩვენს მოსახლეობას, მაშინ როცა საქართველოს მიწას საკვებით არა მარტო ჩვენი, არამედ ბევრი სხვა ქვეყნის დაკმაყოფილებაც შეუძლია. ჩვენი შესაძლებლობების გამოყენებაა საჭირო. დანაშაულია, ქარს ატანდე, ანუ არ სარგებლობდე იმ სიკეთეებით, რასაც მშობლიური გარემო, მიწა, ჰაერი, წყალი გაძლევს და სულ სხვისგან დახმარების იმედით გქონდეს ხელი გაწვდილი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, არ ვითარდება ადგილობრივი სოფლის მეურნეობა, მოსახლეობაც არაა გათვითცნობიერებული, როგორ გაიტანოს თავისი მოწეული პროდუქცია ბაზარზე. არადა, ყველას კარგად მოგვეხსენება, რა ადგილი უჭირავს სოფლის მეურნეობის განვითარებას ქვეყნის ეკონომიკაში და, საერთოდ, მის წინსვლაში.

**- ვიცი, რომ თავად გაიკვლიეთ გზა საბჭოთა ეკონომიკის ნანგრევებში და შეძელით საკუთარი მეურნეობა გაგემართათ, რაც ქვეყნისთვისაც არაა ურიგო საქმე... როგორ მოახერხეთ?**



- თავიდან დავიწყებ, რათა უკეთ დაინახოს მკითხველმა, რომ მონდომება და შრომა ყველა რთულ სიტუაციაში გადამწყვეტია. შპს „ქობულეთის სამკურნალო მცენარეებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-გადამუშავება-რეალიზაციის გაერთიანება“ 1972 წელს ჩამოყალიბდა. ეს იყო სრულიად ახალი საწარმო 5 ჰექტარ დაჭაობებულ მიწის ნაკვეთზე სრულიად ახალი იდეებით. ვეწეოდით სხვადასხვა მცენარის, ყვავილის დამზადება-რეალიზაციას, ვაწარმოებდით კულტივირებულ, მარადმწვანე დეკორატიულ მცენარეებს, რომლებსაც საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში ვაგზავნიდით. 1981 წელს იგი „ცეკავშირის“ საექსპორტო სამკურნალო მცენარეებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადება-გადამუშავება-რეალიზაციის გაერთიანებად გადაკეთდა „ცეკავშირის“ დაქვემდებარების ქვეშ. მთელი საქართველოს მასშტაბით სამკურნალო მცენარეებს საექსპორტოდ ვაგროვებდით, სანაცვლოდ კი ყველაზე მოთხოვნადი და ხარისხიანი ტანსაცმელი შემოგვქონდა და რაიონებში ვანაწილებდით. ვაჭრობის და დამზადების გასაფართოებლად ცენტრალურ უნივერმაგებში სავაჭრო კუთხეები ეწყობოდა. 1986 წელს ზემოთ ხსენებული გაერთიანება „აჭარკოოპკავშირის“ გამგეობას გადაეცა. ხელმძღვანელობის ხელშეწყობით ვამყარებდით კავშირებს საზღვარგარეთის ქვეყნებთან გაცვლითი ოპერაციების სახით. ვკონტაქტობდით რუსეთის („ვნეშტორგთან“), გერმანიის, ინგლისის, ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების საწარმოებთან. 1981-1992 წლებში 5 ჰექტარი მიწის ნაკვეთზე ავაშენეთ საშრობ-სასაწყობე შენობები და რაც მთავარია, იმ დროისთვის მთელ საბჭოთა რესპუბლიკაში პირველი თხილის სატეხი, თხილის სარჩევ-დამფასოებელი იაპონური ქარხანა. ეს იყო თანამედროვე, ორსართულიანი თერმოიზოლირებული შენობა თხილის მიღება-გადამუშავებისა და სხვა დანადგარებისთვის. ჩვენი დამზადებული თხილი გურიაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში ათასობით ტონა იგზავნებოდა, 500 ტონა (გარჩეული) - გერმანიის ფედერაციაში. 1991 წელს შეიცვალა საბჭოთა სისტემა, შეჩერდა საექსპორტო, საიმპორტო ოპერაციები, გათავისუფლდნენ გაერთიანების ხელმძღვანელები, მოიყვანეს ახალი მმართველები...

**- თქვენ შეძელით საკუთარი საქმის დაწყება, ახალ სისტემაზე მორგება...**

- ახალი მმართველების ინტერესების გამო არ გაითვალისწინეს ჩემი თხოვნა და დაპირება, რომ თუ მომცემდნენ მუშაობის გაგრძელების საშუალებას, ავამუშავებდი საწარმოს. თითქმის ერთი წელი დავრჩით გაურკვეველ ვითარებაში - დაუფინანსებელი და დაქუცმაცებული. შემდეგ საქართველოში მიმდინარე პროცესების და მისი თანმდევი პრობლემების გამო კიდევ უფრო დაბრკოლდა წარმოების მუშაობა, გაფართოება, შეწყდა ბანკის კრედიტების გაცემა. რამდენჯერმე წარვადგინე ახალი წარმოების განვითარების პროექტები, თითქოს უნდა დამხმარებოდნენ „აჭარკოოპკავშირი“ და „ცეკავშირიც“, მაგრამ ქვეყანაში კუპონიზაციას თანდართული ინფლაციით და არასტაბილურობით სრულიად გაღარიბდა მოსახლეობაც და სახელმწიფოც. შევძელი რამდენიმე დაინტერესებული ინვესტორის მოძიება, მაგრამ ვინაიდან წარმოება სახელმწიფო საკუთრებაში იყო, უარს ამბობდნენ. 1997 წელს ერთი ასეთი მსხვილი ინვესტორი იყო „მარტინ ბაუერი“, რომელსაც უნდოდა გაერთიანების ამოქმედება და მისი მეშვეობით მთელი საქართველოს სოფლის მოსახლეობის დასაქმება როგორც ტყის სამკურნალო მცენარეების დამზადებაში, ასევე კულტივირებული სამკურნალო ჩითილებით სოფლის მოსახლეობის მომარაგებაში. ჩვენ შესაბამისი პირობები და გამოცდილება გვქონდა, ასევე - იაპონური თხილის სარჩევ-დამფასოებელი ქარხანა, რომელიც დიდ ინტერესს იწვევდა მათში. ამასთან, ყურადღება მიიპყრო „მარტინ ბაუერის“ თბილისის ფირმის ხელმძღვანელობამ, რომლებთანაც ჩამოვიდნენ კონკრეტულად საქმის გადასაწყვეტად გერმანელი წარმომადგენლის წინამძღოლობით. დაათვალიერეს თხილის ქარხანა და მოეწონათ, ასევე - საწარმოს ჩითილები და დამხმარე სასაწყობე მეურნეობაც. დამპირდნენ, რომ ყოველწლიურად მარტო სამკურნალო ჩითილების წარმოებისათვის გაიღებდნენ 300000 აშშ დოლარს, ხოლო თხილის დამზადებისთვის - 500000 აშშ დოლარს. თუმცა საბოლოოდ, შეიკავეს თავი საქართველოში მიმდინარე დაძაბული სიტუაციის გამო. მე მაინც ამიყვანეს სპეციალისტად სამკურნალო მცენარეების დამზადება-მოყვანისთვის. ერთ წელიწადს დავუმზადე 100 ტონა ასკილის ნაყოფი, 50 ტონა ხოზიკა, შევიძინე 10 ტონა პოლპოლა, 12 ტონა უკვდავას ყვავილი, ევკალიპტის ფოთოლი, 50 ტონა დაფნა. როგორც მათი დამამზადებელი და თანამშრომელი, გამიცნო მთელმა „ცეკავშირმა“. 5 მილიონი აშშ დოლარის კრედიტის აღებაც კი მოინდომეს გერმანიიდან შევარდნაძის დავალებით. მიუხედავად ამდენი შრომისა, 13-წლიანი მონდომებისა, ვერაფერს მივაღწიე, მხოლოდ საწარმო, როგორც შემეძლო, შევინარჩუნე. 2006 წელს ეს საწარმო უსასყიდლოდ გადაეცა საქართველოს ეკომონიკის სამინისტროს, 2010 წელს კი უკანვე გადმოეცა აჭარის ეკონომიკის სამინისტროს და 2013 წელს შევიძინე პირობიანი აუქციონის წესით იმ ვალდებულებით, რომ ამეშენებინა 1 ჰექტარი სასათბურე მეურნეობა. ასევე იყიდებოდა თხილის ქარხანაც, რომელიც სხვა იურიდიულ პირს ეკუთვნოდა, დღესაც გაყიდვაშია, მაგრამ მაშინდელი მთავრობის დაინტერესებულმა პირებმა დანადგარებისაგან გაცალეს, დარჩა ცარიელი 1 500 კვმ ფართობის შენობა, რომელიც ქირითაა გაცემული თურქ მოქალაქეზე და არაფერს აწარმოებს. ჩემთვის ერთ ლარად რომ გადმოეცათ თხილის ქარხანა, განუწყვეტლივ იმუშავებდა და აჭარის მოსახლეობისათვის 10 000 ტონამდე თხილს მაინც გადაამუშავებდა, ასევე გავაგრძელებდი დაფნისა და სხვა სამკურნალო მცენარეების წარმოება-რეალიზაციას, რისი წინაპირობებიც გვქონდა. ვფიქრობ, თავის დროზე ძველ მყიდველებთან დაკავშირებით აჭარის მთავრობამ სწორი ანალიზი ვერ გააკეთა. დღეს ამ ქარხნის მაგალითზე მთელ გურიასა და სამეგრელოშია აშენებული ანალოგიური საწარმოები, ამჟამად ჩვენ გვერდით აშენებენ სხვა რაიონის წარმომადგენლები სახელმწიფო დაფინანსებით ახალ თხილის სატეხ ქარხანას. ერთი ანდაზა მახსენდება: „ავმა ძაღლმა არც თვითონ ჭამა და არც სხვას აჭამაო“, თხილის ქარხნის ბედიც ასე გადაწყდა. არადა, მილიონობით ლარი მექნებოდა ბიუჯეტში შეტანილი.

**- როგორც ვიცი, თქვენ გულზე ხელები მაინც არ დაგიკრეფიათ.**

- ეს ჩემი საქმეა, რომელიც კარგად ვიცი, მთელი ცხოვრება დამზადებაში ვარ. თხილის ქარხნის ადგილას 5 ჰექტარ მიწის ნაკვეთზე სათბურები ავაშენე, რომელსაც 7-8 წელია, ვამუშავებ. ეს საქმე ძალიან შრომატევადია. ამიტომ მოგება შედარებით დაბალია. რთულია სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. პარალელურად, სასაწყობე შენობებში ხის დამამუშავებელი საამქროები მოვაწყვე, დამატებითი სამშენებლო სამუშაოების შესრულება დავიწყე, ყოველწლიურად დასაქმებული მყავს 50-ზე მეტი მოქალაქე. ერთი სიტყვით, ჩემი მიზნების 80% შესრულებული მაქვს, მაგრამ ათჯერ მეტის გაკეთება შეიძლებოდა, სახელმწიფო დროულად და თანმიმდევრულად რომ დამხმარებოდა. 50-წლიან ცოდნასა და გამოცდილებასთან ერთად დიდი ენერგია და წვალება დამჭირდა, მაგრამ შრომამ შედეგი გამოიღო და მაინც კმაყოფილი ვარ.

**- სანამ ურემი არ გადაბრუნდება, სამწუხაროდ, გზას ვერ ხედავენ ხოლმე, ასე დაემართა მაშინ ჩვენს სახელმწიფო სტრუქტურებსაც.**

- მე ნამდვილად უკმაყოფილო ვარ იმ ცვლილებებით, არამიზნობრივი ხედვებით, რაც სახელმწიფოს მხრიდან წამოვიდა. ამის შედეგია, რომ სოფელი იცლება უმუშევრობისა და სახელმწიფოს მხრიდან უყურადღებობის გამო. განადგურდა ჩაის და ციტრუსების მეურნეობები თავისი ფაბრიკა-ქარხნებითა და დამზადების პუნქტებით, დაინგრა უნივერმაღები. სოფლად დღესაცაა შემორჩენილი დაცლილ-გაპარტახებული, გველებისა და ანტისანიტარიის ბუდედ ქცეული მაღაზიები, რომლებიც აუშნოებენ სოფლის ცენტრებს. ბევრი საწარმო ისე დაინგრა, ერთი თეთრი შემოსავალი აღარ მოუტანია სახელმწიფოსთვის. 30 წელიწადში გავანადგურეთ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ხალხის ნაშრომი მილიარდობით ქონება.

**- რატომ მოხდა ასე და ახლა მაინც თუ ჩანს გზა, მაინც რა შეიძლება გაკეთდეს?**

- იგივე გრძელდება. ჩანს, რომ არც კერძო და არც სახელმწიფო სტრუქტურები არაა ამაზე პასუხისმგებელი. დიდი ანალიზია ჩასატარებელი, რომ გავერკვეთ, რატომ დაგვემართა ეს და რა მოვიმოქმედოთ უკეთესობისთვის.

**- სახელმწიფოსგან ვერანაირ მცდელობას ვერ ხედავთ ამ ვითარების უკეთესისკენ შესაცვლელად?**

- უნდა აღვნიშნოთ, რომ სახელმწიფომ სოფლის მოსახლეობისთვის შექმნა ბევრი პროგრამა გრანტებით, თანადაფინანსებით. სოფლის მოსახლეობას უფასოდ დაურიგა სათბურები, სხვადასხვა ტექნიკა და ჩათვალა, რომ ეხმარება ფერმერებს, რათა ჩამოყალიბდეს აგროსერვისები, კარგი ტექნიკით აღჭურვილი კოოპერატივები თავისი სპეციალისტებით, რომლებზეც ყოველწლიურად დიდი თანხები იხარჯება. ეს ყველაფერი კარგია, თუ ის კონკრეტულ ფუნქციებს ასრულებს და შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრება ყველას, მაგრამ ფაქტია, რომ ნაკლებად გრძნობენ ამ პასუხისმგებლობას. რაიონებსა და რეგიონებში რამდენიმე ჰექტარზე აშენდა ტექნოლოგიურად კარგად აღჭურვილი სათბურები, მაგრამ თითქმის ყველა განადგურდა, ნადგურდება ან უმოქმედოდაა (ორი ვიცი ასეთი).

იხ. მე-4 გვ.

## უცხოეთი

ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა უნდა გააორმაგოს ძალისხმევა მზარდი საფრთხეებისგან ნატოს წევრი ქვეყნების მოქალაქეთა დაცვის უზრუნველსაყოფად, - განაცხადა ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში ნატოს სამხედრო კომიტეტის შეხვედრაზე. მისივე თქმით, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა 2022 წელს უკრაინაში სრულმასშტაბიანი შეჭრა დაიწყო, რამდენიმე საათში ალიანსმა ყველა თავდაცვითი გეგმა გააქტიურა. „როდესაც უფრო საშიში მომავლისთვის ვემზადებით, უნდა გავაორმაგოთ ძალისხმევა, რათა ჩვენი ერთი მილიარდი მოქალაქის უსაფრთხოება შევინარჩუნოთ და წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი დავიცვათ“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

გაეროს გენერალური მდივან ანტონიო გუტერეშის განცხადებით, ამჟამად რუსეთსა და უკრაინას შორის მშვიდობის პერსპექტივა არ არსებობს, რადგან ორივე მხარე დარწმუნებულია, რომ გამარჯვება შეუძლია. „რუსეთის შეჭრა ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო კანონს და გაეროს წესდებას, მაგრამ ვერ ვხედავ რუსეთის მზადყოფნას, გავიდეს ტერიტორიებიდან, რომლებიც ამჟამად ოკუპირებულია. ვფიქრობ, უკრაინას აქვს იმედი, რომ დაიბრუნებს მათ“, - აღნიშნა გუტერეშმა. მისი თქმით, გაერო ყველაფერს აკეთებს, რომ ორივე მხარესთან დიალოგი ჰქონდეს კონკრეტული პრობლემების გადასაჭრელად, როგორიცაა უკრაინული მარცვლეულის და რუსული სურსათისა და სასუქის ექსპორტი.

* * *

რუსეთის წინააღმდეგ კვლავ გაჩაღდა ომი, მაგრამ ქვეყანამ საკადრისი პასუხი გასცა საერთაშორისო ტერორიზმს, ის უზრუნველყოფს საკუთარ უსაფრთხოებას და, ასევე, დაიცავს დონბასის მცხოვრებლებს, - განაცხადა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მოსკოვში 9 მაისს გამარჯვების დღის აღსანიშნავად გამართულ აღლუმზე სიტყვით გამოსვლისას. მისი თქმით, „დასავლეთის ქვეყნები პროვოცირებენ კონფლიქტებს და გადატრიალებებს, ანადგურებენ ტრადიციულ ღირებულებებს, რათა განაგრძონ თავიანთი წესების კარნახი, ფაქტობრივად - ძარცვისა და ძალადობის სისტემა“. პუტინმა განაცხადა, რომ ქვეყანა ამაყობს იმ ადამიანებით, ვინც „სპეციალურ სამხედრო ოპერაციაში“ მონაწილეობს.

* * *

თურქეთის საპრეზიდენტო არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე რეჯეფ თაიფ ერდოღანმა საჯარო მოხელეების ხელფასის 45%-ით მატება დააანონსა. „ვზრდით საჯარო მოხელეების ხელფასს 45%-ით, მათ შორის, სოციალური უზრუნველყოფის წილსაც. ამგვარად, საჯარო მოხელეების მინიმალური ხელფასი 15 ათას ლირამდე გაიზრდება“, - განაცხადა მოქმედმა პრეზიდენტმა ერდოღანმა. 2023-2024 წლებში ხელფასი დაახლოებით 700 ათასი საჯარო მოხელეს გაეზრდება. გარდა ამისა, ხელისუფლება აპირებს, ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურება გაზარდოს. საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები თურქეთში 14 მაისს გაიმართება. რეჯეფ თაიფ ერდოღანს პრეზიდენტის პოსტისთვის ბრძოლაში გამოკითხვებით უსწრებს მთავარი კონკურენტი, „რესპუბლიკური სახალხო პარტიის“ ლიდერი ქემალ ქილიჩდაროღლუ.

მოამზადა
ია შველიძემ

# საერთაშორისო ტურნირი „ბათუმი ოუფენი“

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

*მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე ორ დღეს მასპინძლობდა საერთაშორისო ტურნირს „ბათუმი ოუფენი“, რომელშიც ლიეტუვას, ლატვიის, ყაზახეთის, ისრაელის, პოლონეთის, ხორვატიის, სომხეთის, უნგრეთის, საბერძნეთისა და საქართველოს 240-მდე საუკეთესო სპორტსმენი - ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორები მონაწილეობდნენ*




ასეთი მასშტაბური ტურნირის ჩატარება თავად სპორტის სასახლის ინიციატივა (დირექტორი - შოთა დავითაძე) იყო. ამ მნიშვნელოვან ღონისძიებას არაერთი მხარდამჭერი ჰყავდა - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სპორტის დეპარტამენტი, საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაცია და საქართველოს განათლების, კულტურისა და სპორტის ახალგაზრდული სამინისტრო, თუმცა მის ჩატარებაში ძალიან დიდია აჭარის კონტაქტური კარატეს ფედერაციის, პირადად მისი პრეზიდენტის, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მთავარ მწვრთნელ ლევან ცინცაძის წვლილი, რომლის აღსაზრდელები ბოლო წლების განმავლობაში დიდ წარმატებებს აღწევენ როგორც ქვეყნის, ისე საერთაშორისო სარბიელზე.

მნიშვნელოვანი და საინტერესო ტურნირი საკმაოდ მაღალ დონეზე ჩატარდა. დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი, მოადგილე ბადრი ნაკაშიძე, სპორტის დეპარტამენტის უფროსი ირმა ნიჟარაძე, სპორტის სასახლის დირექტორი შოთა დავითაძე, სპორტის მოყვარულები დაესწრნენ. ორგანიზატორების სურვილია, ეს ტურნირი ტრადიციული გახდეს და კიდევ უფრო გაფართოვდეს.

პირველ დღეს 14-დან 18 წლამდე, მეორე დღეს კი უფროსი ასაკის კარატისტებმა იასპარეზეს. გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირის ჩემპიონები დიდებში გახდნენ დათა ფუტკარაძე, დავით მსხალაძე, მინდია მგელაძემ და თამარ ყურაშვილმა მესამე ადგილი მოიპოვეს. გამარჯვებულები და პრიზიორები თასებითა და მედლებით დაჯილდოვდნენ. აჭარის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის მიერ დაწესებული სპეციალური პრიზი დათა ფუტკარაძეს გადაეცა. სულ საქართველოს სახელზე 8 ოქრო, 4 ვერცხლი და 18 ბრინჯაოს მედალია.

- ტურნირი მნიშვნელოვანია იმიტომაც, რომ პირველად ტარდება ახალ სპორტის სასახლეში, რომელიც დიდი ხანი არაა, რაც ექსპლუატაციაში შევიდა. ამაყები ვართ, რომ გვაქვს ისეთი სპორტული სტანდარტების სასახლე, სადაც შეიძლება გაიმართოს მაღალი დონის შეჯიბრება. საქართველოს ნაკრებში 40 სპორტსმენიდან 20 აჭარიდანაა, რაც იმაზე მეტყველებს, რომ კონტაქტური კარატე ძალიან პოპულარულია ჩვენთან, - გვითხრა ბადრი ნაკაშიძემ.

- ბათუმმა სერიოზულ ღონისძიებას უმასპინძლა, რაც ძალიან მნიშვნელოვანია სპორტის განვითარებისთვის, როგორც ამ რეგიონში, ისე მთელ ქვეყანაში. ეს გრანდიოზული ასპარეზობა აუცილებლად წაადგება სპორტსმენებსაც და მწვრთნელებსაც, კარგი შესაძლებლობაა გამოცდილების მისაღებად, - აღნიშნა მსოფლიო ჩემპიონმა დავით ქირიამ.

- 200-ზე მეტი მონაწილე იყო ყველა ასაკობრივ კატეგორიაში. პირველ დღეს ცუდი შედეგები საქართველოს არ ჰქონდა, მაგრამ ცოტა უკეთესს ველოდით, რადგან მაქსიმალისტები ვართ და გვინდა, ყოველ ჯერზე უფრო მეტი მივიღოთ. შესაძლოა, ბევრი ევროპელი ლიდერი არ იყო ჩამოსული, მაგრამ წარმოდგენილი ნაკრებებიდან ყველას ჰყავს კაშკაშა ვარსკვლავები, რომლებითაც ამაყობს, ამიტომ ყველა წონით კატეგორიაში საკმაოდ კარგი კონკურენცია იყო. რა თქმა უნდა, ამ ღონისძიებისთვის აჭარის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან ცინცაძემ ძალიან ბევრი გააკეთა. საერთოდ, ბოლო წლებში აჭარის წარმომადგენლებმა ბევრჯერ გამოიჩინეს თავი, - გვითხრა საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლაშა ხაჭაპურიძემ.

- ძალიან კარგი შეჯიბრება იყო. ჩამოსული იყვნენ საკმაოდ ძლიერი კარატისტები, ტიტულოვანი სპორტსმენები. რაც შემეხება მე, პირველად ლიეტუველს შევხვდი და მოვუგე, ნახევარფინალსა და ფინალში შემხვდნენ ასევე ტიტულოვანი ყაზახი სპორტსმენები, რომლებიც დავამარცხე. ძალიან კმაყოფილი ვარ ჩემი ბრძოლებით, საკმაოდ კარგი მომზადება გავიარეთ და შედეგიც მივიღეთ. დიდი მადლობა ჩემს მწვრთნელ ლევან ცინცაძეს, - გვითხრა ფინალური შეხვედრის შემდეგ დათა ფუტკარაძემ.

- ჩვენმა სპორტსმენებმა ნამდვილად გაგვახარეს, მათ ღირსეულად წარმოაჩინეს თავი, ქვეყანა, კუთხე. მნიშვნელოვან ტურნირს ვუმასპინძლეთ და შეიძლება ითქვას, რომ ამ შესაძლებლობებით, ამ სტარტით შეგვიძლია გაცილებით უფრო ფართომასშტაბიან ღონისძიებებზე გავაკეთოთ განაცხადი და გავუწიოთ მასპინძლობა. მნიშვნელოვანია ის მხარდაჭერა, რომელიც ამ სახეობას აქვს ეროვნულ თუ რეგიონის დონეზე და ვფიქრობთ, დღევანდელი შედეგიც ამის დასტურია, - აღნიშნა მაია ხაჯიშვილმა.

- ფსიქოლოგიურად და მორალურად მზად ვიყავი ასპარეზობისთვის. მოვიგე და ძალიან ბედნიერი ვარ. მსოფლიო ჩემპიონატზე ახალგაზრდებში ფინალი წავაგე ორი წლის წინ და დღეს რევანშის აღება შევძელი. ყველას ვულოცავ წარმატებას. ბევრი გეგმა გვაქვს განსახორციელებელი და სათანადოდ მოვემზადებით, - გვითხრა „ბათუმი ოუფენის“ გამარჯვებულმა აბსოლუტურ წონით კატეგორიაში დავით მსხალაძემ.

- პირველ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა ბათუმმა კონტაქტურ კარატეში და მინდა გითხრათ, არ მოველოდი, ისეთ მაღალ დონეზე ჩატარდა. სასიხარულოა, რომ მას მხარი ყველამ დაუჭირა - აჭარის მთავრობამ, ჩვენმა ფედერაციამ, საქართველოს სპორტის სამინისტრომ. ყველა მონაწილე ქვეყნის მსაჯი მსაჯობდა. ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ჩვენ შეგვიძლია აქ მსოფლიო ჩემპიონატსაც ვუმასპინძლოთ. ამიტომ დიდი სურვილია, ეს ტრადიციული გახდეს და უფრო მეტი ქვეყანა ჩაერთოს. აღსანიშნავია ისიც, რომ შეხვედრები პირდაპირი ტრანსლაციით გადაიცემოდა, - აღნიშნა საქართველოს კონტაქტური კარატეს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ავთანდილ შენგელიამ.

„აჭარასთან“ საუბარში მთავარმა მსაჯმა საბერძნეთიდან აღნიშნა, რომ ძალიან კმაყოფილი იყო ტურნირით და მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც წვლილი შეიტანა მის ჩატარებაში, განსაკუთრებული მადლიერებით მოიხსენია ლევან ცინცაძე.

# „ათჯერ მეტის გაკეთება შეიძლებოდა სახელმწიფოს თანადგომით“

მე-3 გვერდიდან

**- თქვენს საწარმოს როგორ ამუშავებთ, ანუ რაა საჭირო, რომ სახელმწიფოს ძალისხმევა წყალში არ ჩაიყაროს?**

- „მარდი“ ჰქვია ჩემს საწარმოს. იგი ქობულეთში ერთ-ერთია, სადაც დაბალი ტექნოლოგიით აშენებულ 1,5 ჰექტარ სათბურს ვამუშავებთ. შეუფერხებლად მოგვყავდა ბოსტნეული, ახლა მარწყვის კულტურებით არის დაკავებული. დიდი მოგება და შემოსავალი არ გვაქვს, რაც განპირობებულია გათბობის უქონლობითა და ფინანსების ნაკლებობით. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, სახელმწიფოსგან მეტ ყურადღებას უნდა გრძნობდნენ ენერგიული, საქმის მკეთებელი, მცოდნე სპეციალისტები, მათ ხომ ბევრი მოქალაქის დასაქმება და სპეციალისტების გაზრდა შეუძლიათ. აუცილებლობად მიმაჩნია, რომ აჭარის ზონის მოსახლეობამ მცირემიწიანი ფართობები რაციონალურად გამოიყენოს, დასაქმებული იყოს სოფლად და შემოსავალიც ჰქონდეს. სახელმწიფო მეტი კონკრეტულობით უნდა მოეკიდოს ამ საკითხს და ხელი შეუწყოს მცირე მიწის მფლობელ ფერმერებს. მაგალითად, საკარმიდამო ნაკვეთების პატრონობისთვის, მცენარეების შეწამვლისთვის გამოუყოს სუბსიდია, ასევე, სასუქების დაბალ ფასად შეძენაში დაეხმაროს ან უსასყიდლოდ გადასცეს, როგორც ეს ადრე იყო, ხელი შეუწყოს მოსავლის ისე რეალიზაციაში, რომ გლეხმა თავისი შრომის შესაბამისი გასამრჯელო მიიღოს (ჯერჯერობით მოკრეფის ფასსაც ვერ ინაზღაურებენ), შეძლოს გააშენოს ძვირად ღირებული ხეხილიც, ღობის შემოგარენის გამოყენებაც შეიძლება დაფნის კულტურისთვის. საკარმიდამო ნაკვეთ-ებსა და მოსაზღვრე გამოუყენებელ მიწაზეც მომგებიანია დაფნის გაშენება, როგორც ეს სამეგრელოს ზოგიერთ რაიონშია და ყოველწლიურად კარგი შემოსავალიც აქვთ, რადგან დაფნის ექსპორტზე უკვე დიდი მოთხოვნილებაა, მას საუკეთესო სამკურნალო თვისებები აქვს.

**- ფაქტია, დაფნის დამზადებისა და ექსპორტის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვთ ჩვენი კუთხის მკვიდრთ, რითაც სტაბილური შემოსავალი ჰქონდათ...**

- დიახ, ბატონ ომარ შამილიშვილს აღნიშნულ წერილში კარგად აქვს აღწერილი „აჭარკოოპკავშირის“ დაფნის გადამამუშავებელი კომბინატის მომგებიანობა. მაშინ მხოლოდ რუსეთის ბაზრითაც კი საკმარისი შემოსავალი გვქონდა, ახლა კი მსოფლიო ბაზარზეა მოთხოვნილება. ჩვენი სამკურნალო მცენარეების გაერთიანებაც დაფნას გდრ-ში ვაგონობით აგზავნიდა, სხვა ქვეყნებშიც ჰქონდათ შეძენის სურვილი. დაფნის ნერგების გამოყვანა 1990 წელს დავიწყეთ და ერთ წელიწადში 100 000 ძირი მივყიდეთ კოლმეურნეობებს. სოფლის მოსახლეობას მათ ნერგებს უფასოდ ურიგებდნენ. დღესაცაა შემორჩენილი მაშინდელი ნარგავები და კვლავ მოსავლიანია. ეს 30 წლის წინათ გადადგმული ნაბიჯის შედეგია. დღეს სამეგრელოს რაიონებიდან შემოსული დამზადების პუნქტები იბარებენ ამ პროდუქტს ჩვენი მოსახლეობისგან კაპიკებად, მიაქვთ თავიანთ მიმღებ პუნქტებში, იქ ახმობენ, 5-7 ლარი უჯდებათ. მთლიანი ნერგის მოჭრა ანადგურებს მცენარეს, მაგრამ მაინც ასე იქცევიან, ვინ არის გამკითხავი! მას უფრო მაღალ ფასში ჰყიდიან. ასევე თხილის მოსავლიც გააქვთ მეზობელ რაიონებში, თანაც მათთან უკვე თხილის მოვლა-შეწამვლას სახელმწიფო აფინანსებს. ასეც უნდა იყოს, გლეხს და სოფლის მეურნეობაში დაინტერესებულ მეწარმეებს ნებისიერ დარგში სჭირდებათ სახელმწიფოსგან სუბსიდირება, დახმარება, რათა მოსახლეობის დაინტერესება გაიზარდოს. ასეა, მაგალითად, თურქეთში, სადაც ჩაისა და თხილის მოსავლის ნახევარი სახელმწიფო სუბსიდიით ფინანსდება, რათა მოსახლეობამ მისი გაშენებამოვლის სურვილი და შესაძლებლობა არ დაკარგოს. უფასოდ აძლევენ ტყე-ბუჩქნარით დაფარულ მიწას, რომლის დასამუშავებლად სუბსიდიასაც აძლევენ, რომელსაც, სხვათა შორის, ჩვენი მოქალაქეები ამუშავებენ, მოჰყავთ თხილი, ჩაი... ჩვენთან კი სახელმწიფომ საერთოდ შეწყვიტა მიწის შესყიდვები, იჯარით გასცემენ მხოლოდ მწირ ნიადაგებს ძვირად. თუ ვერ გადაიხადე გარკვეული ხელშემშლელი პირობების გამო ან გაუთვალისწინებელი დაბრკოლება შეგექმნა, უკან იბრუნებენ, გიუქმებენ ყველაფერს - მრავალწლიანი იდეების შესრულებას. ცნობილია, რომ მოსახლეობისთვის 2500 კვმ დაკანონებული მიწის ნაკვეთების ირგვლივ ყველას უჭირავს საშუალოდ 5000-დან 10000 კვმ-მდე გაუფორმებელი მიწის ნაკვეთი, რომელსაც პირუტყვის საძოვარად იყენებენ, ზოგს თხილი აქვს გაშენებული, ისიც ძალზე მოუვლელი, უეფექტო და შემოსავალი არ აქვს. ამას ემატება ის ფაქტი, რომ თხილის მოსავალი ფაროსანამ დააზიანა. არასაკმარისად მიმდინარეობს აჭარაში მის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები. მოსახლეობის მხრიდან მიწის მოვლაგანაყოფიერებაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი შხამ-ქიმიკატების სიძვირის გამო. მაგალითად, მანდარინის შეწამვლა ძვირი უჯდებათ, აქედან გამომდინარე დაბალხარისხიანია მოსავალი, ამ მცირედი პირობების უქონლობის გამო თხილზეც აიღო ხელი უფროსმა თაობამ და ახალგაზრდებიც ვერ ხედავენ პერსპექტივას სოფლის მეურნეობაში, ამიტომ ეძებენ გზებს საზღვარგარეთის ქვეყნებში წასასვლელად... ჩვენთან უკვე დეფიციტია ახალგაზრდა მუშახელი. დროულად უნდა გავაანალიზოთ რეალობა. ეს ყველა მოქალაქის და სახელმწიფოს ვალდებულებაა. ჩემი ასაკისა და გამოცდილების მქონე ადამიანებს ბევრი საჭირო რჩევის მიცემა შეუძლიათ..

**- პრინციპში, ისეთი მეწარმე, რომელიც თქვენ მსგავსად 50-100 ადამიანს დაასაქმებდა და საჭირო პროდუქციასაც აწარმოებდა, ბევრი რომ იყოს, ქვეყანაც შედარებით წელში გაიმართებოდა.**

- ხელშეწყობა რომ მეტი იყოს, საქართველოში ბევრი მომგებიანი საწარმო იქნებოდა და ცხოვრების დონეც ამაღლდებოდა. ჯერ კიდევ შემიძლია მომავალ თაობას ვასწავლო შრომა, ადამიანების სიყვარული, პატივისცემა, ქვეყნის გაძლიერება. თუ სახელმწიფო მეც და ჩემნაირ სხვა მეწარმეებსაც დაგვეხმარება, რომ გავაფართოოთ წარმოება (ძვირფასი ხეხილის ნერგების გამოყვანა, სამკურნალო მცენარეების დამზადება) და უსასყიდლოდ დავურიგოთ ნერგები აჭარის მოსახლეობას, რომლის აგროწესებით მოვლა-განაშენიანება დაევალება აგრონომებს და რაიონის „აგროსერვისის“ ხელმძღვანელობას, დარწმუნებული ვარ, საგრძნობ შედეგს მივიღებთ.

*ჩვენ ამ თემას მეტი კონკრეტულობით დავუბრუნდებით უახლოეს მომავალში.*

მარინა მითაიშვილი

# „სიყვარული უსასრულობის ყველაზე ღვთაებრივი ფორმაა“

ლაშა ხომერიკი 593 50 82 69

*წარმატებული, საინტერესო და საყურადღებო მწერალი - ასე შეაფასეს კოლეგებმა ეთერ ზაქარიაძე შარშან, თბილისში, მწერალთა კავშირში მისი წიგნის პრეზენტაციაზე. ქალბატონი ეთერი ათეული წელია ემიგრაციაშია, არ ეპუება სიძნელეებს და თავისუფალ დროს ახალ ნაწარმოებებს ქმნის... ემიგრანტის ცხოვრებისეული გამოცდილება უფრო საინტერესოდ წარმოაჩენს ამ ზნეკეთილ ქალბატონს, სათქმელიც დაგროვებია და ჩვენთან გულახდილ დიალოგში ახლა თავის ნააზრევს გვიზიარებს. ნომრის სტუმარია მწერალი* ***ეთერ ზაქარიაძე.***

**- 10 წელზე მეტია, ემიგრაციაში ხართ... რა არის თქვენთვის ეს ათი წელი - როგორ აღიქვამთ მათ?**

- 2001 წელს დავტოვე საქართველო და შვეიცარიის ულამაზეს ქალაქ ციურიხში კარი გავუღე ემიგრანტულ ცხოვრებას... (2008 წელს, მცირე დროით, დავბრუნდი საქართველოში). იყო ემიგრანტი, მძიმე ტვირთია. რთულია, სადღაც, სხვა პოლუსზე დაიმკვიდრო ადგილი, მონატრება და სიშორის სუსხი, გაფრენილი წლები, ახალგაზრდობა... ფიქრი: როგორ შემძლებია დატოვება საკუთარი სულის და გულის... მონატრება დამანგრეველი განცდაა და გრძნობ, რომ ემიგრანტის პატრონი მხოლოდ ღმერთია. ყველაზე მეტად იმ სიცარიელეს განვიცდი, რაც დედასა და შვილებს შორის, მიუხედავად ყოველდღიური კონტაქტისა, სიშორის გამო ჩნდება.

**- არჩევანის წინაშე რომ დაგაყენონ, ახლა რა გზას აირჩევდით?**

- არჩევანის წინაშე ხშირად ვდგები, მიწევს იმის არჩევა, რაც არ მსურს ან არ მომწონს, რადგან სხვა გზა არ არსებობს. ეს არასასურველი გამოსავალია. ადამიანი ძლიერია, სიცოცხლის განმავლობაში ხვდება უამრავი სირთულე, პრობლემა თუ ტკივილი, მიუხედავად ამისა, მაინც მადლობელი უნდა ვიყოთ, რადგან ტკივილის უკან პატარა ნათელი წერტილი იმალება. თითოეული ჩვენგანისათვის აუცილებელია ღვთის ბოძებული სიბრძნე და გონიერება, რათა შევძლოთ, დავინახოთ საკუთარი თავი და სამყარო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია, დავინახოთ რისი დათმობა არის შესაძლებელი და ის, რაც უნდა დავიცვათ მტკიცედ. უპირველესად, ჩვენი ადგილი უნდა ვნახოთ ცხოვრებაში. დღეს, მართალია, ცოცხლები ვართ, მაგრამ არ ვუწყით, რა გველის ხვალ. ღმერთი ჩვენგან ელოდება ჩვენი დანიშნულების აღსრულებას. ყოველ ეპოქას თავის შეხედულება აქვს, ადამიანს ხან აამაღლებს, ხან დაამდაბლებს, დრონი იცვლებიან და ჩვენც ვიცვლებით მასთან ერთად, მაგრამ უმთავრესი - ხატება ღვთისა უცვლელი რჩება ჩვენში. ვიცი, რომ არასდროს უნდა დავნებდე, უნდა ვიმოქმედო აქტიურად, ნებისმიერ ფასად ვიარო წინ და მივიდე დანიშნულ ადგილამდე, რომელსაც უამრავი სირთულე ხვდება გზად. თუმცა, ამ თავბრუდამხვევი და წინააღმდეგობებით აღსავსე თავგადასავლის ბოლოს, ვფიქრობ, რომ ბრძოლა ყოველთვის ღირს. არჩევანის წინაშე მდგარი, ისევ და ისევ იმ გასავლელ გზას დავადგებოდი, რომელიც გამივლია, რადგან ვხვდები, რომ ცხოვრებაა ჩვენთვის მეფე, თითოეული ადამიანი კი მისი უბრალო პაიკები ვართ!

**- გამოცდილებას, რომელიც დაგიგროვდათ, უზიარებთ მათ, ვისაც სჭირდება რჩევა?**

- დიახ. ცოდნის ერთადერთი წყარო გამოცდილებაა, სხვებისთვის გაზიარება კი არანაკლებ მნიშვნელოვანს მმატებს, ძალა ხომ ერთობაშია?!.. მეგობრები იმისთვის არსებობენ, რომ ერთმანეთის გასაჭირი გაიზიარონ, თუმცა, სულ ცუდზე ყურადღების გამახვილებით შეიძლება, მათ ემოციურ განწყობაზეც უარყოფითად ვიმოქმედო, თანაც მეგობრებს ჩემი კარგი ამბების გაგება ახარებთ. დიდი მნიშვნელობა აქვს მეგობრებს ჩემს ცხოვრებაში და ამ ჯილდოს გავუფრთხილდები. მთავარია, მათ ემოციების გაზიარების საშუალება მივცე და შესაძლოა, პროცესში გამოსავალს თვითონვე მიაკვლიონ...

**- ემიგრანტის ერთი დღე, თქვენი და სხვისიც... საერთოდ, მაქაური ცხოვრების წესი, რის დანერგვას ისურვებდით სამშობლოში?**

- ემიგრანტის ყოველი დღე ერთნაირია, სხვისი ტკივილი ემატება ჩემს ტკივილს, როგორც უნდა შეეცადო, ვერ შეცვლი გონების ფანჯარას, საიდანაც უცხო მიწაზე, უცხო სამყაროს უყურებ და სხვისი ჰაერი გახრჩობს... ეს არის, უსასრულობაც და ერთი დღეც. ქართველებს ტკივილიანი ისტორია გვაქვს. საქართველო ჩემი ქოლგაა და მის ქვეშ მეზობელ ქვეყნებთან მეგობრულ, ძმურ ურთიერთობას დავნერგავდი, სიყვარულის ხეებს დავრგავდი, ღმერთის ბოძებულ მიწაზე ნათხოვარ სიცოცხლეს შევირგებდი, მშვიდობას დავნერგავდი! შვეიცარია ცნობილია, როგორც მრავალეროვანი ქვეყანა. აქ საუბრობენ ოთხ - ფრანგულ, გერმანულ, რომანულსა და იტალიურ ენებზე. აქ ზიზღი და მტრობა არ შეინიშნება, ყველა ცხოვრობს სიმშვიდესა და სიყვარულში, ყველა საკუთარ საქმეს აკეთებს. ამ ქვეყანას შეუძლია დაიკვეხოს ცხოვრების კარგი სტანდარტით, ხარისხიანი განათლებით, ჯანდაცვის საუკეთესო საშუალებებითა და მშვიდი გარემოთი.



**- ბუნება მკურნალია... ეს აზრი შვეიცარიის ბუნების ხილვის შემდეგ, ალბათ, უფრო სარწმუნოა.**

- შვეიცარია ულამაზესი ქვეყანაა საოცარი ბუნებით - ულამაზესი მთებით, ტბებით, მდინარეებით. ამ ლამაზ ბუნებას ერწყმის საოცარი არქიტექტურა. ნამდვილად ზღაპრული ქვეყანაა, სუფთა ჰაერი, ანკარა წყალი, მზის სხივები, ყვავილების არომატი, მსუბუქი სიო, დილის ნამი, ფრინველთა გალობა და მობიბინე ბალახი - ეს ის ძაფებია, რომელიც ადამიანს ბუნებასთან, გარე სამყაროსთან აკავშირებს. ყოველივე ამის გარეშე შეუძლებელია ახალი ენერგიით ავსება, რაც კარგად ესმის შვეიცარიის მოსახლეობას. ბავშვებს უყვართ ბუნებასთან ურთიერთობა, იციან, რომ ხეც ცოცხალია და სუნთქავს, ბუნებასაც სჭირდება ზრუნვა და მოფრთხილება. უფროსებს კი კარგად ესმით, რომ ჯანსაღი გარემო ყველაზე კარგი მემკვიდრეობაა, რაც კი შეიძლება გადასცე მომავალ თაობას.

> ***„ემიგრანტის ყოველი დღე ერთნაირია, სხვისი ტკივილი ემატება ჩემს ტკივილს, როგორც უნდა შეეცადო, ვერ შეცვლი გონების ფანჯარას, საიდანაც უცხო მიწაზე, უცხო სამყაროს უყურებ და სხვისი ჰაერი გახრჩობს... ეს არის, უსასრულობაც და ერთი დღეც***

**- „სილამაზე გადაარჩენს კაცობრიობას“ - ამ ფრთიან ფრაზას როგორ განავრცობდით?**

- სიყვარული მშვენიერს ეძებს. სიყვარულის გრძნობა სილამაზის ცნებისაგან განუყოფელია. ქრისტიანობა განაცხადებდა ადამიანის სულის, როგორც ღვთის ხატებისა და მსგავსების უკვდავ სილამაზეს. ღვთისკენ მიმავალი ქრისტიანის სული ღვთიური ნათელის ანარეკლს ყოველ ადამიანში ხედავდა. თავგანწირვა უსიყვარულოდ შეუძლებელია. სამწუხაროდ, ადამიანებმა დავკარგეთ რა მისტიკური გრძნობა როგორც უნარი ადამიანში ღვთაებრივი სილამაზის ჭვრეტისა, არარსებული სილამაზის ძებნას შევუდექით ამა სოფელში... ქრისტიანობა სიყვარულის რელიგიაა, რომელიც თავგანწირვაზეა დაფუძნებული, მან იხსნა ადამიანი ყველაზე საშინელი მონობისაგან, ახლა კი ნებაყოფლობით დავემონეთ ყველაზე ცუდ ბატონს - ცოდვასა და დემონს. სულიერ სილამაზესთან ერთად, ადამიანებმა სიყვარულის ნიჭიც დავკარგეთ, მონობა მოვიწონეთ და მივიღეთ კიდეც. დიახ! ძველმა ბერძნებმა თქვეს, რომ სილამაზე გადაარჩენს სამყაროს. უმაღლესი სილამაზე ღმერთია, მისი ანარეკლია ხატი ღვთისა - ადამიანი. სამწუხაროდ, სილამაზესთან ერთად გაქრა სიყვარული და დადგა მეტაფიზიკური ღამე.

**- ადამიანს თუ სწამს, მთასაც გადადგამსო...**

- რწმენა უხილავის დაჯერებაა, ეს ისაა, რასაც ხელით ვერ შეეხები, მაგრამ ცხოვრების წარმართვა შეუძლია. ღმერთის რწმენა მთლიანად ცვლის ადამიანის მსოფლმხედველობას სამყაროზე. რწმენა „მჯერაზე“ მეტია, იმაზე მეტი, ვიდრე, უბრალოდ, იცოდე, რომ ღმერთი არსებობს. ეს იმედია, რომ უფლის სიტყვა უზენაესია და მისი აღსრულება - გარდაუვალი, ეს მოქმედებაა და ზოგჯერ ლოდინიც, ეს მინდობაა, ასი პროცენტით მინდობა ღმერთზე. გწამდეს ღმერთის და გჯეროდეს, რომ რწმენით მთების დაძვრაც შესაძლებელია!

**- რასაც ფიქრობთ, იმას ლაპარაკობთ? გულახდილი დიალოგის გჯერათ?**

- ყოველთვის ვერ ვიტყვი, რაც ვიცი, ის კი ყოველთვის ვიცი, რას ვამბობ. ყოველთვის სამყაროს შიგნით ვმოქმედებ, საეჭვო ენით არასდროს ვლაპარაკობ, არც ვბოჭავ საკუთარ თავს აზროვნებასა და სიტყვის თავისუფლებაში. ყველაფერზე საკუთარი აზრი მაქვს, რომელსაც თამამად ვუცხადებ გარშემომყოფებს, თუმცა სანამ რამეს ვიტყოდე, ყოველთვის ვფიქრობ სათქმელზე, რადგან ყოველგვარი აზრების და გრძნობების მიღმა რეალობა არსებობს. გულწრფელი ვარ პარტნიორთან, რომელიც შეესაბამება ყველა ჩემი წარმოდგენის იდეალებს. საკუთარ თავს მებრძოლად არ ვთვლი, მაგრამ სინამდვილეში ვიბრძვი იმისთვის, რაც მსურს და მიყვარს. გულახდილი საუბარი - გულის სიწმინდე, ერთ-ერთი უმთავრესი სათნოებაა, წმინდა გულს შეუძლია უფლის ხილვა და გონებას ვიცავ ყოველგვარი ავი ფიქრისაგან. როცა ვცდილობ, გონებაში შემოსული ყოველი მაცდური აზრი, გულისთქმა და სურვილი მოვიშორო, მაშინ გონება დაცულია და ცუდი აზრი გულამდე ვერ აღწევს, მსგავს მიდგომას დიალოგში ნამდვილად აქვს თავისი დადებითი მხარე.

**- ცრემლები - სულის წუხილის ნიშანი და სევდის ამოფრქვევა თუ... თქვენ როდის ტირით?**

- ცრემლის გამომწვევი მიზეზი მრავალგვარია, ცრემლი სულის საკვებია, ლოცვაა. თუკი ვერ ვიღებ იმას, რაც მსურს, ვიტანჯები; თუ ვიღებ იმას, რაც არ მსურს, მაინც ვიტანჯები; თუ ვიღებ იმას, რაც მსურს, მაშინაც ვიტანჯები, რადგან ვერ ვახერხებ შევინარჩუნო, რაც მივიღე. გონება დამაბრკოლებელია, მას სურს, ცვლილებებისაგან თავისუფალი იყოს; მას სურს თავისუფალი იყოს ტკივილისაგან, ცხოვრებისეული ვალდებულებებისა და სიკვდილისაგან. მაგრამ ცვლილება არის ცხოვრების კანონზომიერება და ვერავითარი თავის მოჩვენებითობა ვერ შეცვლის ამ რეალობას. ეს ცხოვრებაა და ცხოვრებაში კი სიმშვიდე და სიხარული ცრემლისა და სინანულის გარეშე არ არსებობს. ცრემლი იყო და არის ჩემი სრულყოფილი მეგობარი. მეც ბევრჯერ მიტირია - საკუთარი თავის შებრალებით. ცრემლი სულს მითავისუფლებს, არღვევს გაქვავებული გულის ჯავშანს და არაჩვეულებრივი თავისუფლების შეგრძნებას მანიჭებს, ზოგჯერ ვცდილობ „ზებუნებრივი“ ვუწოდო იმას, რაც ბუნებრივია. თუმცა, იშვიათად, მაგრამ ცრემლის გარეშეც მიტირია... ვფიქრობ, ეს არ არის სიმდაბლის ნიშანი, ცხოვრება გულში ბევრ ჭუჭყს გვიგროვებს, გულის გაწმენდის გარეშე ღმერთთან მისვლას ვერ შევძლებ. ვინც სიძნელეებს ჭირთათმენით გაივლის, მათთვის ბოლო ნუგეში ის იქნება, რომ „მოსწმენდს მათ ღმერთი თვალთაგან ყველა ცრემლს“.

**- ბევრი წუხს, შვილებს რას ვუტოვებო... და მაინც რა არის ის მთავარი, შვილებს რომ უნდა დავუტოვოთ?**

- გერქვას დედა! პასუხისმგებლობა შვილებზე დიდია. სიკეთე თუ ბოროტება - ორთავე გადამდებია, გენეტიკა იმახსოვრებს ურთიერთობებს, დამოკიდებულებებს... წინაპრები აყალიბებენ შვილის გენეტიკას, შვილი - აგრძელებს. ჩვენზეა დამოკიდებული, როგორ წარვმართავთ. ერთმანეთის ხმას უნდა მოვუსმინოთ და დავფიქრდეთ, რას ვერ ვერევით ჩვენს თავში - შურს, გაუმაძღრობას, ბოროტ ვნებებს... უნდა გადავაბიჯოთ საკუთარ ამბიციებს. როდესაც კეთილი ვარ, შვილებს მარტივ გზას ვაძლევ. ყველა სიკვდილის შვილები ვართ, ამიტომაც ბევრს ვფიქრობ სიკვდილზე და იმაზე, რას დავუტოვებ შვილებს... გავბრწყინდებით კი ოდესმე, მარტოოდენ ღვთისმშობლის იმედზე, ხელ და თავგაუტოკებლად? პანთეონის საფლავები ჩვენზე გაცილებით მოქმედნი არიან - სულის საზრდო აქვთ დატოვებული შთამომავლობისთვის და იმიტომ. შვილებს რჩებათ ის, რასაც დავთეს ამ წუთისოფელში, რაც თან წამყვება ამ წუთისოფლიდან.

**- გრძნობა, რომელიც ადამიანს აკეთილშობილებს და აძლიერებს...**

- სიყვარული უბრალო სიტყვაა, ვიდრე ისეთი ადამიანი არ გამოჩნდება ცხოვრებაში, რომელიც მას მნიშვნელობას მისცემს. ეს გრძნობა აკეთილშობილებს ადამიანს, იგი გვაძლევს საშუალებას, დავინახოთ, რისი დანახვაც ბევრს არ შეუძლია. ნამდვილი სიყვარული ყველა ამქვეყნიურ ფასეულობაზე მაღლა დგას და იგი ეძიებს სილამაზეს სიყვარულში და არა სიყვარულს - სილამაზეში. საოცარია სულის ჰაეროვნება და მისი მოფარფატე სიმსუბუქე, რომლის თრთოლვასაც ადამიანი ყველაზე უფრო სიყვარულისას გრძნობს. ეს, ალბათ, სამოთხისეული ატმოსფეროს განცდაა დედამიწაზე. მიმაჩნია, რომ სიყვარული უსასრულობის ყველაზე ღვთაებრივი ფორმაა.

**- როცა იღვიძებთ, პირველი გრძნობა - რომელიც გეუფლებათ?**

- ყოველთვის მინდა ახალი დღე დავიწყო საინტერესო, სასიამოვნო გზით. მზე ან წვიმა, სიცხე ან ყინვა, ქარი ან სიმშვიდე - ნებისმიერი დილა ყოველთვის კარგი უნდა იყოს. მიუხედავად ცუდი ამინდისა, თუ ცუდი განწყობისა, მინდა გავუღიმო ახალ დღეს. „დასაბამიდან იყო სიტყვა... ყველაფერი მის მიერ შეიქმნა და უმისოდ არაფერი შექმნილა, რაც კი შეიქმნა“. დილა, მზე ფარდას არღვევს და მე კმაყოფილების გრძნობით ვჩურჩულებ: დილა მშვიდობისა მომეცი ღმერთო!

**- როცა ბუნებამ ქალობა გარგუნა... ქალის ხვედრი და როლი ჩვენს რეალობაში... შეადარეთ ქართველი და თუნდაც მაქაური ქალები, სადაც ახლა თქვენ ცხოვრობთ.**

- „ქალებად კი არ იბადებიან, ქალებად ხდებიან“. ეგზისტენციური ფილოსოფიისთვის ყოფიერების ერთადერთი რეალობა ქალია, რომელმაც თავისი სამყარო თავადვე უნდა აავსოს შინაარსით. თავისუფალი ნება და თავისუფლებისაკენ სწრაფვა საზოგადოებრივ კანონებზე ძლიერია. გენდერულ როლებზე ჩვენს რეალობაში საზოგადოების წარმოდგენა ასეთია - ქალის ფუნქციაა შვილების მოვლა და აღზრდა, საშინაო საქმეების კეთება. ქალი მაშინ ხარ და მაშინ ფასდები, როდესაც არც მეუღლე გყავს უკმაყოფილო და არც სტუმარი, ყველაფერს ასწრებ, ყველაფერს უძლვები. ნამდვილად ძლიერია ქართველი ქალი, ძლიერი დედობრივი ინსტინქტით გამოირჩევა და საკუთარ შვილებზე ზრუნვა მისთვის მთავარი პრიორიტეტია ცხოვრებაში. ქართველმა ქალმა ისიც იცის, რომ ქმარი ვიღაცასთან მიდის, მაგრამ იმასაც ამბობს, ოჯახი როგორ დავანგრიო, შვილებს დედა და მამა უნდაო! ტრადიცია მოითხოვს, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს ოჯახი. აქ კი, გენდერული თანასწორობა, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის უფლებაა. ქალებს უფლება აქვთ იცხოვრონ ღირსეულად, სიღარიბისა და შიშის გარეშე. ქალები ხელს უწყობენ ოჯახების კეთილდღეობას და პროდუქტიულობას, შემდეგი თაობის სამომავლო პერსპექტივების გაუმჯობესებას. საკუთარ თავს მაქსიმალურად აქცევენ ყურადღებას, ვარჯიშობენ, ყველას მოვლილი სხეული და ლამაზი გამოხედვა აქვს. ძალიან ზრდილობიანი და მეგობრულები არიან, მაგრამ არ უნდა გააღიზიანოთ.

**- იუმორთან თქვენი დამოკიდებულება...**

- იუმორი ცხოვრებას ხალისსა და სილაღეს მატებს. სიცილი არის სხეულის ენა, რომელიც ზოგჯერ რთულია ტირილისაგან განასხვავო, გააჩნია ადამიანს. ჩემთვის იუმორი არის სიტყვიერი ამოხეთქვა. ბევრი არ ეპუება სიმართლის თქმას და იუმორს იყენებს. ის კი, ვინც იცინის, შეუძლებელია იკბინებოდეს. გაიღიმეთ ძვირფასებო, გაიღიმეთ!

**- თქვენი შემოქმედების ამბებიც გაგვაცანით, რას უნდა ელოდოს მკითხველი სამომავლოდ?**

- რამდენადაც დიდი ნიჭის პატრონია ადამიანი, მით უფრო მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული ცხოვრებასთან, მის მწვავე საკითხებთან. ჩვენ მონანი ვართ ცხოვრების პირობებისა, უძლურნი ვართ მის წინაშე. არ არსებობს თავისუფალი ჩვენი ნება, ყოველი უბედურებაა ჩვენს თავს: უსამართლობა, უზნეობა, სიღარიბე... სიყმაწვილის შთაბეჭდილებანი უკვდავია ჩემში, სათავე და საწყისიც სწორედ იქ არის. პირველად პატარა ყლორტი ამოვა და თუ არაფერმა შეუშალა ხელი, თანდათან ზრდას იწყებს და დიდ ხედ გაიზრდება. ასე იწყება ფესვების ზრდა, როცა პირველად წერის ნიჭი გაიღვიძებს ცხოვრების, ბუნების შთაბეჭდილებათა წყალობით. მცირეა ჩემი შემოქმედება, მთავარი კი ჩემში ის არის, რასაც თავად ვგრძნობ და ვფიქრობ,

იხ. მე-7 გვ.

# ქედას პირველი მენტორი მასწავლებელი ჰყავს

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

*ჩვენი სტუმარია ხარაულის საჯარო სკოლის მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი* ***თამაზ აბულაძე***

**- ბატონო თამაზ, ქედის მუნიციპალიტეტში პირველი მენტორი პედაგოგი ხართ. როგორ მიაღწიეთ ამ წარმატებას?**

- რაც თავი მახსოვს, სულ ვკითხულობ, ვწერ, სიახლეს ვეძებ. პროფესიული განვითარების ახალი სქემით, მენტორობის მსურველს გამოცდა უნდა ჩამებარებინა. მასალაც ვნახე ინტერნეტში და აღმოჩნდა, რომ 3000 გვერდზე მეტი უნდა შემესწავლა. ამჟამად, ჩემი ფიზიკური მდგომარეობა არ მაძლევდა ახალი მასალების შესწავლის საშუალებას, რასაც წლები დასჭირდებოდა, ამიტომ, უარი ვთქვი. ჩემი უმცროსი ქალიშვილი, ცირა, ძენწმანის სკოლის დირექტორია, მან დაიჩემა, რომ განცხადებით მიმემართა ჩემი სკოლის დირექტორისთვის, წარდგენის შემთხვევაში კი, ჩემი ნამუშევრების გათვალისწინებით, აუცილებლად მომცემდნენ სასურველ სტატუსს. დავუჯერე. ნამუშევარი კი მართლაც მრავლად მქონდა: სკოლის ისტორიაზე დაწერილი 500-გვერდიანი წიგნი, სკოლის იუბილესთან დაკავშირებული სტენდები და თავად საიუბილეო ღონისძიების მასალები. ამას დაემატა ჩემი პედაგოგიური ხასიათის კვლევები, კონფერენციებზე წაკითხული მოხსენებები, ჩემ მიერ დაარსებული მოსწავლეთა სასკოლო ბეჭდური გაზეთი (უკვე გამოცემულია 65 ნომერი) და ასე შემდეგ. წარდგენილი მასალების ანალიზმა მომაპოვებინა მენტორის სტატუსი.

**- თითქმის ნახევარი საუკუნეა იღვწით სხვადასხვა სფეროში. რა გზა გამოიარეთ?**

- IX კლასში რომ გადავედი, ქართული ლიტერატურის ახალი მასწავლებელი შემოვიდა კლასში - ეთერ გორგაძე, ჭარნალიდან. მან „გადამაწყო" ფილოლოგიურ მიმართულებაზე. სხვათა შორის, მისაღები გამოცდები ქართულში, ისტორიასა და გერმანულში ჩავაბარე და ყველა საგანს ეთერ მასწავლებელი მასწავლიდა. მენტორის სტატუსს მის ხსოვნას ვუძღვნი. სტუდენტობის დროსაც აქტიური ვიყავი, სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოებას ვხელმძღვანელობდი. ჩემმა არაერთმა ნაშრომმა დაიმსახურა დიპლომი, ერთმა საკავშირო პრემიაც მოიპოვა. ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიეროკვლევითი ინსტიტუტის დირექტორი ასლან ინაიშვილი მპირდებოდა მიზნობრივ ასპირანტურაში გაგზავნას, ამ იმედით დავიწყე მუშაობა მერისის საშუალო სკოლაში, მაგრამ... ერთი სიტყვით, ასპირანტურაში ველარ წავედი, სკოლაში მუშაობის დაწყების მესამე თვეს ინსპექტირება ჩატარდა. მეთოდისტმა უსუფ აბაშიძემ „ცაში ამიყვანა". იანვრის კონფერენციაზე განათლების განყოფილების გამგე მიხეილ ზაქარაძემ მისი მოხსენებითი ბარათი წაიკითხა, რითაც წარმოვჩნდი, როგორც წარჩინებული მასწავლებელი. მეორე სასწავლო წელს საოლქო პედაგოგიურ კითხვაზე თემა წარვადგინე: „ერთი აჭარული ზღაპარი და აკაკი წერეთლის „გამზრდელი". განათლების სამინისტრომ მადლობა გამომიცხადა. კიდევ ერთი



მადლობა ჩემი დირექტორობის დროს დავიმსახურე. ოთხი სკოლა შეისწავლა განათლების სამინისტრომ და ყველაზე კარგი შედეგი ჩემს სკოლას ჰქონდა. განათლების მაშინდელმა მინისტრმა ვახტანგ წულუკიძემ გამოცდილ დირექტორებს უთხრა: ამ ახალგაზრდისგან გაიზიარეთ გამოცდილებაო.

**- იყავით პარტიული მუშაკი...**

- დიახ, ეს მაშინდელი რაიკომის პირველი მდივნის არჩილ თავდგირიძის თანადგომით მოხდა. საშუალო სკოლის დირექტორად მაგზავნიდა, უარი ვთქვი, რის გამოც შენიშვნა დავიმსახურე და ამიტომ რაიკომის ინსტრუქტორობას „სიამოვნებით" დავთანხმდი. მაშინ ახალგაზრდა კადრებს ეხმარებოდნენ და კიდეც აწინაურებდნენ. ამ სფეროში საორგანიზაციო განყოფილების გამგეობას მივაღწიე. რაიკომში უფრო შემტევი და ძლიერი გავხდი. მისალმებებით გამოსვლაც ხშირად მიწევდა. სიამაყით ვიხსენებ ჩემს გამოსვლებს კინორეჟისორ რეზო ჩხეიძესთან, ოსეთის, აფხაზეთის, თბილისის დელეგაციებთან, არაერთ პოეტთან. რაიკომში ადამიანებთან ურთიერთობა ვისწავლე. არ გამიწყვეტია კავშირი სკოლასთან.

**- შემდეგ რედაქციაში იმუშავეთ, საიდანაც წითელი ბარათით გამოგიშვეს...**

- კომპარტია რომ აიკრძალა, ცოტა ხანს კოლეჯში ვიმუშავე მასწავლებლად, შემდეგ თემის გამგებლად, 1995-2006 წლებში კი რაიონული გაზეთის რედაქტორი ვიყავი. ეს პერიოდი კარგიც იყო, რადგან ჩემს თავდაპირველ ოცნებას, ჟურნალისტობას ვეზიარე. რაიონის გამგებელი ჯემალ გვარიშვილი დიდ თანადგომას მიწევდა: კომპიუტერებიც შემიძინა, მსუბუქი ავტომობილებიც გადმოგვცა. წარმატებულად ვმუშაობდი. კარგი თანამშრომლები მყავდა: ასლან და ბადრი ბოლქვაძეები, ლია ბოლქვაძე, დუდანა ბერიძე, ინგა ანანიძე და სხვები. ახალგაზრდებსაც ფართოდ გავუღე კარი. კარგ თხზულებებს ქმნიდნენ: ბადრი ბოლქვაძე, ლია და მზია ბოლქვაძეები, ნაირა ფარტენაძე, კობა ბერიძე, გოჩა აბულაძე, ია თურმანიძე და სხვები. სამწუხაროდ, მათგან უმრავლესობას ერთი წიგნიც არ გამოუცია, ვინმე რომ დააფინანსებდეს, სიამოვნებით შევკრებდი მათ ნამუშევრებს და ერთ კარგ წიგნს მიიღებდა მკითხველი... ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობა" რომ მოვიდა, ახალმა გამგებელმა მითხრა, გათავისუფლებაზე განცხადება დაწერე, სხვები შენ გიყურებენ და კაცურ სიტყვას გაძლევ, არ გაგათავისუფლებო. შეთავაზება არ მივიღე და შვებულებაში წასული გამათავისუფლეს. სარჩელი შევიტანე და სასამართლომ აღმადგინა. ახლა გამგეობამ გაასაჩივრა და აჭარის სასამართლომ ისევ გამათავისუფლა, საქართველოს უზენაესმა სასამართლომ კი აღმადგინა. ისევ დავუბრუნდი რედაქციას. 2006 წლიდან კი გაზეთი აიკრძალა, რის გამოც უმუშევარი დავრჩი. გაზეთების გაუქმება ხელისუფლების მხრიდან დიდი შეცდომა იყო. შემდეგ შუახევში „ოქროს ბიჭებმა": ვასო ხიმშიაშვილმა, ზურაბ ზოიძემ და ფრიდონ დავითაძემ დააფუძნეს რეგიონული გაზეთი „მთიანეთი", სადაც მიმიწვიეს რიგით რედაქტორად. სამწუხაროდ, სახსრების შოვნა შეუძლებელი გახდა და საიმედო მომავლის გაზეთი დაიხურა, თუმცა, მანამდე, ჩემი მშობლიური სკოლის ახალმა დირექტორმა მაყვალა ზაქარაძემ დამნიშნა მოადგილედ. „ნაცებმა" ამის გამო ატირეს კიდეც, მაგრამ მაინც არ გამათავისუფლა. ასე დავუბრუნდი ძირითად პროფესიას. ამის შემდეგ აჭარის განათლების სამინისტროს მადლობაც დავიმსახურე და ქედამ საპატიო წოდებაც მომანიჭა. 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტის მადლობაც მაქვს მიღებული, ასე რომ, დაუნახაობის განცდა არასდროს მქონია, ახლა კიდევ გაწეული მუშაობის შედეგებით, მენტორის წოდება მომენიჭა.

**- თუ გიცდიათ სამაგიერო მიგეზღოთ იმათთვის, ვინც თქვენს წარმატებულ ჟურნალისტურ საქმიანობას წერტილი დაუსვა?**

***ეს ჩემი ყველაზე დიდი სატკივარია. ქართულ ენას დღეს პატრონი არ ჰყავს. გამიხარდა, ენის სახელმწიფო სამსახური რომ აღდგა, მაგრამ რა... ჯერ არც პრესით და არც ტელევიზიით არ მინახავს ამ სამსახურის შემოკრული ზარი, არადა, ლევან ღვინჯილია რომ ხელმძღვანელობდა, მაშინ სხვაგვარად იყო საქმე. რა ამბავია ამგვარი წაინგლისურება?***

- არა, წყენას ძნელად ვივიწყებ, მაგრამ სამაგიეროს გადახდა არასდროს მიფიქრია. ეს ჩემი ცხოვრების წესი არაა. სიმართლის თქმა კი ნამდვილად ჩემი წესია.

**- სკოლაზე ბევრი წიგნი დაწერილა, თქვენი „ორი სოფლის ჩირაღდანი" გამორჩეულია. სხვა წიგნებზეც რას გვეტყვით?**

- ჩემს მშობლიურ სკოლას სახელოვანი ისტორია აქვს. გადმოცემით ვიცოდი იმ გურულ-იმერელ-მეგრელ მასწავლებლებზე, რომლებიც სრულიად ახალგაზრდები მოვიდნენ ჩემს სოფელში და დიდი საქმე აკეთეს. ამ მასწავლებელთა ამაგმა მიკარნახა სამადლობელო წიგნის დაწერა. მათგან ერთი - ანეტა ფირცხალაიშვილი ჩემი მშობლების მასწავლებელი იყო და დედაჩემის მონაყოლს მასზე როგორ არ გავუზიარებდი სხვას. წიგნი, მართლაც, მისაბაძი აღმოჩნდა. ეს წიგნი საიუბილეო 85 წლისთავს მივუძღვენი, რომანი „მალული ქრისტიანების გოლგოთა" კი თავიდანვე მქონდა ჩაფიქრებული, უამრავი მასალა დავაგროვე და შემდეგ დავწერე. რაც შეეხება მხატვრულ წიგნებს: „ჩემი ჩუმი ტკივილები" და „უმეცრების ფართი-ფურთი", მათში ადრე და შემდგომში დაწერილი ნოველები შევიტანე. სამაგიეროს გადახდის მიზნით არა, მაგრამ ბევრი იცნობს საკუთარ თავს პერსონაჟებში. მაგალითად, მეორე წიგნში ჩემი სარედაქციო ტკივილებია მთავარი.

**- მოსწავლეებს ჟურნალისტის პროფესიასაც აზიარებთ...**

- სასკოლო ბეჭდური მოსწავლეთა გაზეთი „იმედი" 2008 წელს შევქმენი. დღემდე გამოშვებულია 65 ნომერი. ეს ჩემი ყოფილი საქმიანობის პატივისცემაა. ამ საქმეს უფრო ქართული ენის სწავლების სრულყოფისათვის ვიყენებ: წერილების დაწერა, ჩასწორება ბევრს აძლევს ბავშვებს.

**- ბუნებით ოპტიმისტი ხართ, თუ პესიმისტი?**

- პესიმიზმი ვერასდროს შემიპყრობს, მაგრამ გულისტკივილს ბევრი რამის გამო ვატარებ.

**- მაინც?**

- დღეს სკოლა არაა ის, რაც უნდა იყოს. ჯერ კიდევ ვერ დაიხვეწა სახელმძღვანელოები, საგნების ფუნდამენტურ სწავლებაზე არავინ ფიქრობს, უნარ-ჩვევების დაუფლებაა მთავარი. ერთგვარი ნდობა გამოუცხადეს მასწავლებელს - აღარავინ ესწრება გაკვეთილზე, მაგრამ ასე არ შეიძლება. მასწავლებელი უნდა მოელოდეს, რომ ვიღაც მოჰკითხავს, პასუხს აგებს; ზოგ შემთხვევაში ამაზრზენია სასერტიფიკაციო გამოცდები, - დაწყებით საფეხურზე რომ აბარებს აპლიკანტი, იმას რატომ აძლევენ საშუალო საფეხურის საკითხებს? ბოლოს და ბოლოს, რა უსაშველოა, რომ სტუდენტმა სერტიფიკატი უნივერსიტეტშივე მიიღოს? რა ამბავია ამდენი გაუთავებელი ტრენინგი? ვიღაც გააკეთებს ამონაწერებს, ვიღაც აძლევს სხვათა „დატრენინგების" უფლებას და შენ უნდა მიხვიდე, მოუსმინო. ერთ-ერთ ტრენინგზე ერთმა კვალიფიციურმა ტრენერმა იმდენი რამ მოგვაწოდა საზღვარგარეთელ რომანტიკოსებსა და სიმბოლისტებზე, რომ მათ გამოყენებას თვეები არ ეყოფა. ან რატომაა საჭირო? არ დაადგა საშველი ქართული ენის სახელმძღვანელოების საკითხს. ვითომ ცალკე წიგნები შექმნეს, მაგრამ ისაა გადაწერილი, რაც ადრე იყო. ქართული ენის სწავლებაში ამოსავალი უნდა იყოს მართლწერა-მართლმეტყველების სწავლების ყველა საკითხი, ამ საკითხს უნდა დაეფუძნოს აკაკი შანიძის და ლეო კვაჭაძის სახელმძღვანელოებზე დაყრდნობით. სკოლა ისეთი მრავალმხრივი სატკივარია, რომ სჯობს გავჩერდე, აქ ჩამოთვლით მაინც არაფერი გამოვა.

**- რა დამოკიდებულება გაქვთ ქართული ენისადმი?**

- ეს ჩემი ყველაზე დიდი სატკივარია. ქართულ ენას დღეს პატრონი არ ჰყავს. გამიხარდა, ენის სახელმწიფო სამსახური რომ აღდგა, მაგრამ რა... ჯერ არც პრესით და არც ტელევიზიით არ მინახავს ამ სამსახურის შემოკრული ზარი, არადა, ლევან ღვინჯილია რომ ხელმძღვანელობდა, მაშინ სხვაგვარად იყო საქმე. რა ამბავია ამგვარი წაინგლისურება? ყველაფერს რატომ ვარქმევთ უცხოურ სახელს, ვითომ რა დაშავდება, სასტუმროს რომ „დავით აღმაშენებელი" ერქვას? რატომ გახდა უსაშველო, რომ დაწესებულებაზე ჯერ ქართული წარწერა იყოს და შემდეგ ინგლისური? ჩემს სასკოლო მუშაობაში უმთავრესი დიალექტური ხარვეზების დაძლევაა. ერთი წლის წინ დავინტერესდი აჭარულში აღმოსავლური ლექსიკის არსებობით და გაოგნებული დავრჩი. სხვადასხვა წიგნის და ჩემი გამოცდილების საფუძველზე დავადგინე, რომ ახლა აჭარულ დიალექტში 1500-ზე მეტი სიტყვაა თურქულ-ოსმალურ-არაბულ-სპარსული. ვაი და ვუი ჰქვია ასეთ ყოფას.

**- სოფლის როლი თქვენს ცხოვრებაში...**

- ჩემი სოფელი ჩემთვის ყველაფერია, ყველა მეფერება და პატივს მცემს, მერისშიც მეფერებოდნენ, მაშინ დამწყებ მასწავლებელს. ჩემს სოფელს კარგი ხალხი ჰყავს. ერთმა დიდებულმა პედაგოგმა, ქალბატონმა ქეთო საფარიძემ თავისი ალალი შრომით შესანიშნავი ეთნოგრაფიული მუზეუმი შექმნა. ეს ქალბატონი ახლა ასაკშია შესული და სურს, ექსპონატები სახელმწიფო აღრიცხვაზე ავიდეს. ქეთოს მუზეუმის ქედის ისტორიის მუზეუმის ფილიალად გადაკეთების საკითხი იოლად მოსაგვარებელია, თითქოს გადადგმულია ნაბიჯები, მაგრამ დასრულებას არ ადგება საშველი. არადა, კარგია, ჩემს სოფელშიც იქნება ტურისტული ობიექტი.

**- რაზე მუშაობთ?**

- დასრულების ფაზაშია ლიტერატურული მასალების რიგით მეცხრე წიგნი. მასში შევიდა ნარკვევები, ესეები, გამოსვლები, რეცენზიები კონსტანტინე გამსახურდიას, ლეო ქიაჩელის, ნ. დუმბაძის, ფრ. ხალვაშის, ზ. გორგილაძის, პ. ლორიას, ნ. გვარიშვილის, ჯემალ ჯაყელის, ზურაბ ზოიძის შემოქმედებაზე. ვფიქრობ, მოწონებას დაიმსახურებს ჩემი ნააზრევი ქედაში მოღვაწე შემოქმედების - ნათელა დუმბაძის, რეზო თებიძის, გურამ არძენაძის, შაქრო ჩიკვაიძის შესახებ. საკუთარ წიგნებზე მუშაობის პარალელურად, უკვე ოთხი წიგნის რედაქტორი ვარ. მათ შორის ყველაზე წარმატებული შალვა აბაშიძის წიგნია - „დედაო - ჩემო ქედაო", რომლის სამივე გამოცემის რედაქტორი ვარ. დიდი მუშაობა მაქვს გაწეული ამ წიგნზე და საკუთარივით მიყვარს.

**- ვისგან გრძნობთ თანადგომას?**

- ჩემი ყველაზე დიდი თანამდგომი მეუღლე ნათელა ბერიძეა, ასევე შვილები: გოჩა, ირინა, ირმა და ცირა; შესანიშნავი სიძეები: ტარიელ ტარიელაძე, გურამ ანანიძე, ბადრი სურმანიძე და რძალი ია თურმანიძე. მყავს ხუთი შვილიშვილი - თითოეული ჩემთვის მსოფლიოს მერვე საოცრებაა. მათით და პირად ბიბლიოთეკაში არსებული 2000 წიგნით ვარ ძალიან მდიდარი.

**- მენტორობით თავს ვალმოხდილად თვლით?**

- ნეტავ, ასე იყოს. მე ისევ ვცდილობ ჩემი წილის აზიდვას, მაგრამ... ჰაი, ჰაი, რომ ძველებურად აღარ მომდევს ძალა.

**- ვინ მოგილოცათ მენტორის სტატუსი?**

- ერთი ნაკლი მაქვს, ძალიან ემოციური ვარ, ამიტომ არ მაქვს ფეისბუქგვერდი. არ მინდა, აზრთა ჭიდილში ჩავერთო, მაგრამ შვილებმა წამიკითხეს ასეულობით მილოცვა. ყველაზე ადრე ქედის რესურსცენტრის უფროსმა დურმიშხან შავიშვილმა მომილოცა, შემდეგ ჩემმა ცირამ, ვინც „მაიძულა" განცხადების დაწერა, უფროსმა მეგობარმა დარია თურმანიძემ, შვილებმა, შვილიშვილებმა. ერთ-ერთი თქვენც იყავით, ბატონო ოთარ. ყველას დიდი მადლობა, განსაკუთრებით, თანასკოლელ კოლეგებს: მურმან ზაქარაძეს, მარინა ტაკიძეს, მაყვალა ზაქარაძეს, მაია ხარაძეს და თინანო სანიკიძეს, რომლებიც დამეხმარნენ მოკლე დროში განაცხადის შედგენაში. ბატონო ოთარ! ვიცოდი, ჩემთვის მენტორი მასწავლებლის სტატუსის მონიჭებას არ დატოვებდით უყურადღებოდ, წესი გაქვთ ასეთი: არც ერთ სიახლეს არ ტოვებთ გაუშუქებელს, ასევე ელოლიავებით ამაგდარ ადამიანებს და ახალგაზრდებს ახალისებთ. ეს დიდი ნიჭია და კარგი საქმე. განსაკუთრებულია, რომ გაზეთ „შუახევსაც" გამოსცემთ. ეს ხელისუფლების თანადგომის შედეგიცაა; თუ ხელისუფალი გონიერია, სულიერ სფეროს ყველაზე მეტ ყურადღებას დაუთმობს, გაზეთს, მით უმეტეს, ის ხომ ისტორიასაც ქმნის. ერთ მაგალითს დავასახელებ: ქედის რაიონული გაზეთის ისტორიაზე მუშაობის დროს, ომის დროინდელ გაზეთებში ფრიდონ ხალვაშის ლექსებს წავაწყდი. არადა, ცნობილი იყო, რომ მისი პირველი ლექსი 1944 წელს გამოქვეყნდა. ამ გზით ორი წელი შეემატა დიდი პოეტის შემოქმედებას. მადლობელი ვარ გაზეთ „აჭარის", რომელშიც ისტორიული ღირებულების მასალები იბეჭდება.

# თეატრში ნაპოვნი თავისუფლება

**ნანა აბულაძე 577 20 35 90**

*ამბობს, რომ ყველაზე დიდ თავისუფლებას სცენაზე ყოფნის დროს განიცდის, საიდანაც, ამა თუ იმ პერსონაჟის საშუალებით შეუძლია თქვას საკუთარი სათქმელი, ან იმოქმედოს ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში გაუჭირდებოდა. თვლის, რომ იყო მსახიობი უდიდეს პასუხისმგებლობასთან ერთად, ნიშნავს განუზომელ სიხარულს, რომელიც მაყურებლის მიერ გამოხატულ გულწრფელ აპლოდისმენტებს ახლავს. გაზეთ „აჭარის“ სტუმარი მსახიობი* ***ზურაბ გორგილაძე,*** *რომელიც რამდენიმე დღის წინ ოფიციალურად მიიღეს ბათუმის დრამატული თეატრის დასის წევრად.*

**- როდის მიხვდით, რომ მსახიობობა გინდოდათ?**

- სკოლის პერიოდში, მეთერთმეტე-მეთორმეტე კლასში, როცა დადგა გადაწყვეტილების მიღების, არჩევანის გაკეთების დრო. სხვადასხვა დროს სხვადასხვა მსახიობი იყო ჩემი შთაგონების წყარო, მინდოდა, მეც მეთამაშა ესა თუ ის როლი. წარმოვიდგენდი ხოლმე სცენას ჩემი მონაწილეობით. ბევრი არ მიფიქრია, ჩავაბარე ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სამსახიობო ფაკულტეტზე და მალევე მივხვდი, რომ ზუსტად იქ და იმ პროფესიაში ვიყავი, სადაც უნდა ვყოფილიყავი. მთელი სიცხადით პირველად ეს განცდა მაშინ დამეუფლა, როცა „დედა კურაჟში“ ვითამაშე და სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელთა მხურვალე აპლოდისმენტები მოვისმინე. სწორედ ამ დროს გავიაზრე, რომ ამაზე დიდ ემოციას სხვაგან ვერასდროს მივიღებდი.

**- მსახიობისთვის რამდენად მნიშვნელოვანია სპექტაკლის მსვლელობისას ემოციების გაცვლა მაყურებელთან?**

- ვფიქრობ, მსახიობისთვის მაყურებელი ყველაზე მნიშვნელოვანი ბირთვია თეატრში. „დედა კურაჟში“ არის სცენა, სადაც უშუალოდ მაყურებელთან მაქვს კონტაქტი, როცა მონოლოგს ვკითხულობ. ამ დროს ზუსტად ვგრძნობ მაყურებლის მზერას, ემოციას, განწყობას, რაც, თავისთავად, ძალიან მოქმედებს და სულ სხვა ემოციით გავსებს შენაც. სპექტაკლის დროს ისე არ ვნერვიულობ, როგორც სპექტაკლის დასრულების შემდეგ - როგორია მაყურებლის ემოცია, ოვაცია, აპლოდისმენტები... ამით დაახლოებით ხვდები, რამდენად მოეწონა და როგორ მიიღო სპექტაკლი დარბაზში დამსწრე საზოგადოებამ. ემოციების გაცვლის სასიამოვნო და საოცარი პროცესი სცენიდან დარბაზის მიმართულებით და პირიქით, შეუძლებელია არ იგრძნო. ვფიქრობ, მსახიობმა ყველა რესურსი უნდა ჩადოს როლში, რომ ზუსტად მიიტანოს სათქმელი მაყურებლამდე.

**- რა განცდაა, იყო ბათუმის დრამატული თეატრის მსახიობი?**

- ერთი წელია, რაც დრამატული თეატრის მიწვეული მსახიობი ვარ, თუმცა, ოფიციალურად, რამდენიმე დღეა რაც, მის მსახიობად ვითვლები - შევუერთდი დიდ ოჯახს, რომელთან ერთადაც მზად ვარ, არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგა. მართალია, მანამდეც ვგრძნობდი სიამოვნებას თეატრში ყოფნისას, მაგრამ, არ დაგიმალავთ და, რაღაც განსაკუთრებული ემოცია დამეუფლა, როცა ოფიციალურად გავხდი დასის წევრი. მახსოვს, რეპეტიციაზე მისული, წამიერად შევჩერდი და ვიგრძენი, რომ სახლში ვარ, სადაც მინდა, ბოლომდე შევძლო ჩემი შესაძლებლობების რეალიზება, ვისწავლო, გავიზარდო პროფესიულად. ახლა უკვე გაორმაგებულ პასუხისმგებლობას ვგრძნობ საზოგადოების, თეატრის წინაშე, რომელმაც გამომიცხადა ნდობა და მომცა შესაძლებლობა, ვაკეთო ის, რაც მიყვარს და რაც მთელი არსებით ჩემია.

**- როგორ ახერხებთ ამა თუ იმ როლის გათავისებას? რა პროცესებს გადიხართ, რომ კონკრეტული პერსონაჟის ემოციები ზუსტად მიიტანოთ ადამიანებამდე?**

- როგორც გითხარით, ჩემი პირველი სპექტაკლი „დედა კურაჟი“ იყო, სადაც დედა კურაჟის შვილს ვთამაშობ. განსაკუთრებით მიყვარს ეს პერსონაჟი თუნდაც იმიტომ, რომ პირველი იყო. როლის გათავისება ყველაზე საოცარი პროცესია, თითქოს წყდები რეალურ სამყაროს და იწყებ პერსონაჟის „ტყავში“ ცხოვრებას - უსმენ მის გულისცემას, აკვირდები ქცევებს, სვამ ათას კითხვას და ეძებ პასუხებს, რომ ზუსტად დაინახო ის შტრიხები, რაც მას განსაკუთრებულს ხდის. მილიონი ფიქრია, რომელიც სულ დაგდევს არა მხოლოდ თეატრში, რეპეტიციის დროს, არამედ სახლში, ქუჩაში, მეგობრებთან... ყოფილა შემთხვევა, ქუჩაში, მეგობართან საუბრისას, დამიჭერია რაღაც მნიშვნელოვანი მომენტი, მანერა, რაც მიფიქრია, რომ როლს მოუხდებოდა, გავქცეულვარ და სწრაფად ჩამიწერია ფურცელზე, რომ არ დამვიწყებოდა. ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ ხდება ემოციების შეგროვება, ნელ-ნელა მიდიხარ იმ პერსონაჟამდე, რომელიც სცენიდან უნდა წარუდგინო მაყურებელს.

იხ. მე-8 გვ.

## უკრაინა

რუსეთმა ვერ შეძლო ქალაქ ბახმუტის 9 მაისამდე აღება, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტმა ვოლოდიმირ ზელენსკიმ კიევში ევროკომისიის პრეზიდენტ ურსულა ფონ დერ ლაიენთან გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, საბრძოლო მოქმედებების შედეგად ქალაქი ბახმუტი მთლიანად განადგურებულია. ამასთან, უკრაინის პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ საბრძოლო მასალა, რომლის მიწოდებასაც ევროკავშირი უკრაინას დაჰპირდა, ბრძოლის ველზე უკვე საჭიროა და მნიშვნელოვანია, რაც შეიძლება სწრაფად მიიღონ. „უკრაინა ყოველდღიურად ავლენს რუსული აგრესიის წინააღმდეგ თავდაცვის ეფექტურობას. ტერორისტების ყოველი ჩამოგდებული რაკეტა, ჩვენი მეომრების ყველა წარმატება იმის მტკიცებულებაა, რომ შეგვიძლია აგრესორზე გამარჯვება. მთავარია ჩვენი შესაძლებლობების პროპორციულობა იმ შესაძლებლობებთან, რაც აგრესორს აქვს და ამ კონტექსტში, მე მადლობა გადავუხადე ურსულა ფონ დერ ლაიენს იმისთვის, რომ ევროკავშირი მზადაა, მიაწოდოს უკრაინას ეს ძლიერ საჭირო საბრძოლო მასალა, ერთი მილიარდი საარტილერიო ჭურვი. ასევე, განვიხილეთ მნიშვნელოვანი საკითხები, ამ საბრძოლო მასალის შესყიდვისა და მიწოდების სისწრაფე, რადგან ისინი ბრძოლის ველზე უკვე საჭიროა“, - განაცხადა ზელენსკიმ.

* * *

აშშ-მა უკრაინისთვის 1,2 მილიარდი დოლარის ოდენობის სამხედრო დახმარების პაკეტის გამოყოფის შესახებ განაცხადა. ინფორმაციას აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის პრესსამსახური ავრცელებს. პაკეტი მიზნად ისახავს უკრაინის საჰაერო თავდაცვის გაძლიერებასა და მისი შეიარაღებული ძალების საარტილერიო ჭურვების მოთხოვნის დაკმაყოფილებას. პაკეტი უკრაინის უსაფრთხოების დახმარების ინიციატივის ფარგლებში გამოიყოფა. მასში შევა: საჰაერო თავდაცვის დამატებითი სისტემები და საბრძოლო მასალა, დასავლური გამშვები მოწყობილობების, რაკეტებისა და რადარების უკრაინული საჰაერო თავდაცვის სისტემებთან ინტეგრაციისთვის საჭირო აღჭურვილობა, დრონების საწინააღმდეგო საბრძოლო მასალა, 155 მმ საარტილერიო ჭურვები, კომერციული სატელიტური გამოსახულების მომსახურება და წვრთნებში, შეიარაღებასა და მომსახურებაში დახმარება.

* * *

უკრაინელმა სამხედროებმა ამერიკული „პატრიოტის“ სარაკეტო თავდაცვის სისტემის გამოყენებით რუსული რაკეტა „კინჟალი“ ჩამოაგდეს, - ამის შესახებ პენტაგონის პრესსპიკერმა, ბრიგადის გენერალმა პეტ რაიდერმა განაცხადა. „შემიძლია დავადასტურო, რომ მათ „პატრიოტის“ სარაკეტო თავდაცვის სისტემის გამოყენებით რუსული რაკეტა ჩამოაგდეს. როგორც მოგეხსენებათ, ეს სისტემა არის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობების უფრო ფართო სპექტრის ნაწილი, რომელიც შეერთებულმა შტატებმა და საერთაშორისო საზოგადოებამ უკრაინას მიაწოდეს“, - აღნიშნა რაიდერმა. მისი თქმით, აშშ და მისი პარტნიორები გააგრძელებენ უკრაინის საჰაერო თავდაცვის შესაძლებლობებითა და საბრძოლო მასალით უზრუნველყოფას, რათა დაეხმარონ მას, გააკონტროლოს მისი სუვერენული ცა და დაიცვას თავისი მოქალაქეები რუსეთისგან.

* * *

უკრაინაში აშშ-ის ელჩ ბრიჯიტ ბრინკის განცხადებით, რუსეთი კვლავ ბლოკავს უკრაინის პორტებში გემების მარცვლეულით დატვირთვის პროცესს, რათა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გამოიკვებოს ხალხი, ვისაც ეს სჭირდება. ელჩი აშშ-ის სახელმწიფო მდივან ენტონი ბლინკენის სიტყვებს ციტირებს, რომლის თქმითაც, რუსეთი ადამიანების შიმშილს უკრაინის წინააღმდეგ ომში იარაღად იყენებს. „მსოფლიოს არ უნდა სჭირდებოდეს, მოსკოვს ყოველ რამდენიმე კვირაში შეახსენოს, რომ შეწყვიტოს ადამიანების შიმშილის უკრაინის წინააღმდეგ ომში იარაღად გამოყენება“, - აცხადებს ბლინკენი. ცნობისთვის: გაერომ განაცხადა, რომ მარცვლეულის შეთანხმების ფარგლებში გემების ინსპექტირება ორი დღეა, შეჩერებულია.

* * *

ჯო ბაიდენის ადმინისტრაცია არ აპირებს, დიდი ბრიტანეთის მსგავსად უკრაინას შორ მანძილზე მოქმედი რაკეტები მიაწოდოს. ამის შესახებ Politico წერს. გამოცემა აღნიშნავს, რომ აშშ ამ პრობლემას მოგვარებულად მიიჩნევს, რადგან ბრიტანეთი ასეთი რაკეტების უკრაინისთვის მიწოდებას გეგმავს. ლონდონი აპირებს კიევს 300 კმ-ზე მოქმედი რაკეტები გაუგზავნოს. ეს იგივე დიაპაზონია, რომელიც ტაქტიკური სარაკეტო სისტემა ATACMS-ებზე აქვს, რომლის გადაცემაზეც ვაშინგტონი დიდი ხანია თავს იკავებს. Politico ციტირებს ამერიკელი ოფიციალური პირის სიტყვებს: „ჩვენი პოლიტიკა ATACMS-ებზე არ შეცვლილა“. მისი თქმით, აშშ გააგრძელებს უკრაინისთვის Patriot-ის კომპლექსების, საბრძოლო მასალისა და ჯავშანტექნიკის მიწოდებას.

**მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ**

# „სიყვარული უსასრულობის ყველაზე ღვთაებრივი ფორმაა“

მე-5 გვერდიდან

იმას ვწერ. ჩემი სიცილი ნამდვილი, ბუნებრივი, მართალი სიცილია, ტირილი ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალწყალა სითხე. ნაწარმოებში თუ ლექსში ვქსოვ მხოლოდ ჭეშმარიტებას. ჩემი გონიერი და ნიჭიერი მკითხველისათვის მზად მაქვს ორტომეული სტამბისთვის გადასაცემად, „ფული, ვნება თუ სიყვარული“. დარწმუნებული ვარ, ვინც წიგნს წაიკითხავს... როცა უკანასკნელი წამი ჩამოჰკრავს და სამარეში ჩამიშვებენ, ჩანგი თან ლოცვა-კურთხევას ჩამაყოლებს და არა სამდურავს.

**- ძლიერი ქალბატონი - ასე გახასიათებენ. რა არის თქვენი პიროვნული სიძლიერის წყარო?**

- ძალიან რთულია საკუთარი ნაკლის დანახვა, განსაკუთრებით გვერდიდან, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ძლიერ ქალს ახასიათებს ერთგულება ძლიერ სიყვარულთან. ძლიერი ქალი ყველანაირად მხარში უდგას რჩეულ მამაკაცს, ეხმარება და მხარდაჭერას უცხადებს ნებისმიერ საკითხში, სწორედ ამ ნიშან-თვისებების გამო, ბევრ მამაკაცს უჭირს ძლიერ ქალთან ურთიერთობის აწყობა, თუმცა არ შეგეშინდეთ, ის თავად გაუშვებს, რამდენადაც მტკივნეული უნდა იყოს ეს მისთვის, რადგან ძლიერმა ქალმა ყოველთვის იცის საკუთარი თავის ფასი. ბევრი სირთულის გადალახვა მომიწია ცხოვრების გზაზე, რამაც რეალურად მაქცია ძლიერ პიროვნებად, ვერ ვეგუები სუსტი ნებისყოფის, მერყევ და წუწუნა მამაკაცებს, არ მიყვარს და არასოდეს დავიწყებ ადამიანის გრძნობებით თამაშს. ყველაზე ცუდი, რაც შეიძლება მამაკაცმა გააკეთოს, ეს არის ჩემი ძალის დასუსტების მცდელობა, რასაც ნამდვილად ვერ ვპატიობ. არაფერში მჭირდება სუსტებისათვის დამახასიათებელი თამაში და როლის მორგება. ჩემს სამყაროში საიდუმლოება ნაკლებად არის, არ მაშინებს წარსული, მუდმივად იმის ძიებაში ვარ, „თუ რამ გახადა ადამიანი ისეთი“, როგორიც ახლა არის. კარგად ვიცი საკუთარი სურვილები და ასევე, კარგად მესმის მათი რეალიზაციის შესაძლებლობები რამდენად მაქვს. არ მავიწყდება განვლილი გზა, თუ რის ფასად დამიჯდა სასურველის მიღწევა. ჩემთვის დამახასიათებელია ურთიერთობის სიმყარე, არ მახასიათებს მორჩილება, თუ მიყვარს, მთელი გულით მიყვარს, მაგრამ ვინარჩუნებ დამოუკიდებლობას, არ მახასიათებს მსხვერპლის პოზიციაში დგომა. დაფიქრებულხართ ოდესმე, რატომ მომრავლდა სევდიანი და სიყვარულს მოწყურებული თვალები, სასწაულების მომლოდინე ქალების გულები?... აღიარების დევნაში მთავარი დაავიწყდათ - ქალის ძალა მის სისუსტეშია!

**- წიგნი, რომელიც გამორჩეულად გიყვართ და რატომ?**

- წიგნის როლი ჩემს ცხოვრებაში დიდია. წიგნმა მასწავლა ეროვნული სულისკვეთება, კულტურა, გმირობა. რაც მეტჯერ წავიკითხე, მით მეტი ვიპოვე მასში, ყოველთვის რაღაც ახალს აღმოვაჩენ. ახალი წიგნის წაკითხვა ერთი წინგადადგმული ნაბიჯია ცოდნისკენ. იყო დრო, როდესაც წიგნი საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ელემენტი იყო. იყო დრო, როდესაც ყოველი ახალი წიგნის გამოსვლა დღესასწაული გახლდათ, მერე კი... მერე წიგნისადმი ინტერესი განელდა საზოგადოებაში. წიგნი ძალიან კარგი მეგობარია, რომელიც მეხმარება საკუთარი თავის შეცნობაში, გაზრდაში, დახვეწაში... ძალიან ბევრი წიგნი მაქვს წაკითხული, მიყვარს კითხვა. ბოლოს წაკითხული წიგნებიდან ჩემზე ყველაზე დიდი შთაბეჭდილება გურამ დოჩანაშვილის „სამოსელმა პირველმა“ მოახდინა. რთულია გადმოცემა, რამდენად მადლობელი ვარ ამ წიგნის. ეს ნაწარმოები გასწავლის ცხოვრებას და გაჩვენებს სიყვარულის ძალას. დედამიწას ხომ სიყვარული ატრიალებს. დღეს ჩემს მაგიდას ამშვენებს ჩემი პირველი წიგნი „ეკლიანი სიყვარული“, რომელიც ყველაზე მეტად მიყვარს, ფრთაშესხმული ოცნება. ეს წიგნი საწყისია იმისა, სადაც ჩემი ცხოვრების ყველაზე ნამდვილი სამყარო შენდება და იგი ამ სამყაროს პირველი ფერადი აგურია.

**- „გახსოვდეს სიკვდილი“ - ვემზადოთ სიკვდილისათვის, - ამ ფორმულირებას როგორ აღიქვამთ?**

- ყველა ადამიანს გვიწევს სიკვდილზე დაფიქრება და მისი გაცნობიერება რაღაც დონეზე მაინც. საბოლოო შედეგი არის ადამიანის მიერ სიკვდილის მიღება ან პირიქით, მიუღებლობა და ამ საკითხზე ფიქრებისთვის მუდმივად თავის არიდება, რაც საბოლოოდ ვლინდება სიკვდილის მიმართ შიშსა და შფოთვაში, შიშის გაცნობიერება კი პირველი ნაბიჯია მისი დაძლევის გზაზე. სიკვდილს ვერავინ გაექცევა, მახსოვს, რომ სიკვდილი მელის... ვხუჭავ თვალს და ვფიქრობ, რომ ყველაფერი მორჩა. სინამდვილეში ყველაფერი შემდეგ იწყება. ისევ ვახელ თვალს და მზერას ვუსწორებ სინათლეს, რაღაც უცნაურს. სველი, შიშველი, მშიერი... ასეთები ვიბადებით და უმეტესობა ასევე აგრძელებს ცხოვრებას. ყველას ჩვენი ჯოჯოხეთი გვაქვს ამქვეყნად და სიკვდილით წყდება ყველა პრობლემა. გვაშინებს ის დრო, თუ როდის იქნება მეორედ მოსვლა. ვფიქრობ, როდესაც კაცი კვდება, მისთვის მეორედ მოსვლა მაშინვე იწყება, რადგან ადამიანი იმ მდგომარეობით გასამართლდება, რა მდგომარეობაშიც სიკვდილი მოუსწრებს.

**- ინტერვიუს რა ფრაზით დაამთავრებდით?**

- გავუღიმოთ ერთმანეთს, ცოტა სითბო, სიყვარული, ცოტაც მზის სხივი, თოვლი გავუყოთ ერთმანეთს. მე რას გაჩუქებთ? ათას ლექსს, ათას სიტყვას, ჩემს გულს, ჩემს სულს და ჩემს თავს გაჩუქებთ. ჩემი სამყაროც თქვენი იყოს, ოღონდ ცოტა ღიმილი გამიყავით, გამინათეთ ცხოვრების გზა თქვენი მრავალი ფერებით!

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

ლიტერატურული რედაქტორი
ეთერ ხომერიკი

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
R ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჟარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. ბაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიბოედოვის ქ. №2ა
ტელ: 27-13-31
აიწყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 10/05/23, 21 20 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

# „უზომოდ მაბედნიერებდა ის, რომ მსოფლიო ლეგენდებთან მქონდა შეხება“

**მარიამ ხითარიშვილი 27 48 93**

*გაგაცნობთ ახალგაზრდა მომღერალს, გამორჩეულს ხმის დიაპაზონითა და შრომისმოყვარეობით, რომელიც სრულიად მარტო გაემგზავრა საზღვარგარეთ და ბევრჯერ ასახელა საქართველო ევროპის სხვადასხვა ქალაქში. ეს საოცრად აქტიური, დაუზარელი გოგონა* ***მარიამ ფირცხალაიშვილია.*** *იგი თბილისში დაიბადა, თუმცა თავისი კარიერული წინსვლა ბათუმიდან დაიწყო და შემდეგ იტალიასა და ესპანეთში გააგრძელა.*



**- მარიამ, როდის დაიწყეთ სიმღერა?**

- როგორც მშობლები მეუბნებიან, ლაპარაკის დაწყებამდე სიმღერა დავიწყე. სიტყვების ნაცვლად გაბმულ ბგერებს გამოვცემდი და ყველა აღნიშნავდა, რომ მომღერალი გავხდებოდი. დეიდა ქართულ სიმღერებს მასწავლიდა და მისი აკომპანიმენტის თანხლებით ვმღეროდი. ბათუმის რეზო ლაღიძის სახელობის სამუსიკო სკოლა-კოლეჯის დამთავრების შემდეგ, ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში - აკადემიური სიმღერის ფაკულტეტზე ჩავირიცხე. ყოველთვის აღვნიშნავ, რომ საოცრად გამიმართლა, არაჩვეულებრივ მაესტროსთან - თამაზ ცერიაშვილთან მოვხვდი. მან თავდაუზოგავი და უანგარო შრომა ჩადო ჩემში. მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს კონცერტმაისტერებს ნატო ორაგველიძესა და ნინო ნიშნიანიძეს, რომლებთან ერთადაც მუხლჩაუხრელად ვმუშაობდი. შედეგმაც არ დააყოვნა, ბაკალავრიატის 4 წელი ჩემთვის ძალიან წარმატებული და ნაყოფიერი გამოდგა. აქტიურად ვმონაწილეობდი კონცერტებსა და სპექტაკლებში, ასევე ვიყავი საერთაშორისო ფესტივალების მონაწილე და თანაორგანიზატორი, ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტის სტიპენდიატი. ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრის საოპერო სტუდიაში სტაჟიორად ამიყვანეს, სადაც დიდი გამოცდილება მივიღე. ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი სტუდიის სამხატვრო ხელმძღვანელს მარიამ ჯახუტაშვილს, რომელმაც ჩემში ნიჭი და მონდომება დაინახა. შემდეგ იყო ხელოვნების უნივერსიტეტის მაგისტრატურა, სადაც ასევე სტიპენდიატი ვიყავი. პარალელურად, ბატონი თამაზისა და ნინო ნიშნიანიძის ხელმძღვანელობით, აქტიურად ვემზადებოდი გამოცდებისთვის - გავემგზავრე იტალიაში და ჩავაბარე ოზიმოს უმაღლესი საოპერო დახელოვნების აკადემიაში.

**- რატომ აირჩიეთ საოპერო სფერო?**

- შეიძლებოდა ამერჩია ესტრადა, ჯაზი, ბლუზიც, რომელსაც ვიწრო წრეში, მეგობრებთან ერთად, სიამოვნებით ვასრულებ. უბრალოდ, როდესაც თამაზ ცერიაშვილთან დავიწყე მომზადება, მივხვდი - ეს იყო ჩემი ნამდვილი გზა, ჩემს ხმას სხვაგვარი დამუშავება სჭირდებოდა. პირველი ოპერა, რომელიც მოვისმინე, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“ იყო და მაშინ გამიჩნდა დიდი სურვილი, მემღერა ოპერაში. როდესაც ვოკალზე მუშაობა და ჩემი ხმის ამ კუთხით განვითარება დავიწყე, ბოლომდე ვიხარჯებოდი. ენერგიას საყვარელ საქმიანობას ვახმარდი და ოჯახის წევრებიც კმაყოფილები იყვნენ, რადგან 24 საათი მათ აღარ ვაწუხებდი სიმღერით.

**- როგორი იყო თქვენი იტალიური ცხოვრება?**

- იტალიაში, ქალაქ ოზიმოში 3 წელი ვისწავლე, მყავდა არაჩვეულებრივი პედაგოგები, რაც ყოველი ხელოვანისთვის უმნიშვნელოვანესია. ოზიმოს საერთაშორისო საოპერო დახელოვნების აკადემიის პროფესორმა ალა სიმონიშვილმა ჩემს პროფესიულ ჩამოყალიბებასა და ცხოვრებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა. ვამაყობ, რომ 3 წლის განმავლობაში, ასეთი უზადო პროფესიონალი პედაგოგისა და ხელოვანის მოსწავლე ვიყავი. იგი ჩემთვის არა მარტო პედაგოგი, არამედ საუკეთესო მეგობარი, მრჩეველი, და საყრდენი იყო. ვეცადე, მაქსიმალურად ბევრი მესწავლა მისგან. გავიარე მასტერკლასები ისეთ ცნობილ მაესტროებთან, როგორებიცაა: რაინა კაბაივანსკა, უილიამ მატეუცცი, ანა ვანდი, ლელა კუბელი... უზომოდ მაბედნიერებდა ის, რომ მსოფლიო ლეგენდებთან მქონდა შეხება. პირველივე დღეებიდან ვცდილობდი, მეშრომა ძალიან ბევრი, ვსწავლობდი ენას, ჩართული ვიყავი იმ აქტივობებში, რასაც მთავაზობდა აკადემია. შევასრულე მთავარი, კარმელას როლი უმბერტო ჯორდანოს ოპერაში - „მეზე მარიანო“. კონცერტებს ვმართავდი ორკესტრთან ერთად, ასევე, გასვლით კონცერტებს სხვადასხვა ქალაქში. ვარ არაერთი კონკურსის გამარჯვებული და ფინალისტი.

**- კონკურსების შესახებ გვიამბეთ.**

- პორტოფინოს საერთაშორისო კონკურსზე ჟიურის რჩეული და მათი სპეციალური პრიზის მფლობელი გავხდი. გადმომეცა ფულადი პრემია და ჯილდო. შემდეგ იყო ქალაქი პიენცა, ბენვენუტო ფრანჩი, სადაც ჟიურის თავმჯდომარე ადუა ვერონი პავაროტი (ლუჩიანო პავაროტის მეუღლე) გახლდათ. აქ მესამე ადგილი ავიღე სხვადასხვა ჯილდოსთან ერთად. შემდეგ გავემგზავრე მილანში უდიდესი სოპრანოს მაგდა ოლივეროს სახელობის კონკურსზე, გავხდი ფინალისტი, რაც უკვე ერთგვარი გამარჯვება იყო, რადგან ფინალამდე მისვლა საკმაოდ რთულ ეტაპებს მოიცავდა. სხვადასხვა კონკურსზე გამგზავრება სოლიდურ თანხებს უკავშირდებოდა, რისი მოძიებაც ცოტათი გამიჭირდა, თუმცა ერთ კონკურსზე მოგებული თანხით, მეორეზე გავდიოდი, მეორეზე მოგებულით - მესამეზე და ასე შემდეგ.

**- ოზიმოს აკადემიიდან ვალენსიაში როგორ აღმოჩნდით?**

- ოზიმოს აკადემიის დასრულებამდე, მაისში ჩავედი ესპანეთის ქალაქ ვალენსიაში. გავიარე ერთკვირიანი მოსმენა უმაღლესი დახელოვნების ცენტრში, სადაც სწავლა და სამსახური ერთმანეთთანაა შერწყმული. 35 ფინალისტიდან აიყვანეს 4 სოპრანო, მათ შორის, მეც. ივნისში დავამთავრე სწავლა ოზიმოს აკადემიაში. ჩამოვედი საქართველოში საბუთების მოსაგვარებლად, სექტემბრის თვეში კი, დიდი სირთულით აღებული სასწავლო ვიზით, გავემგზავრე ვალენსიაში, სადაც დღემდე ვსწავლობ და ვმუშაობ.

**- დასში რამდენი სოლისტი ხართ როგორი კოლეგები გყავთ?**

- სულ 14-ნი ვართ, აბსოლუტურად ყველა გამორჩეულია და შერჩეული იმ უდიდესი კონკურსიდან, რომელიც გავიარეთ ერთი კვირის განმავლობაში. ფინალში ისეთი მაღალი დონის მომღერალ-არტისტები მღეროდნენ, მათი მოსმენისას წარმოუდგენლად მეჩვენებოდა, ვინ უნდა გამოეყოთ და აერჩიათ. სიმართლე გითხრათ, როდესაც 4 სოპრანო შეგვარჩიეს, ცოტათი შოკირებული, მაგრამ უზომოდ ბედნიერი ვიყავი, რომ ამ უნიჭიერეს შემსრულებელთა რიცხვში მოვხვდი.

**- როგორი რეჟიმი გაქვთ, ენის სწავლა თუ გაგიჭირდათ?**

- ვფლობ ინგლისურ და იტალიურ ენებს. ცენტრშიც ყველა იტალიურად ვსაუბრობთ, თუმცა, ვსწავლობ ესპანურსაც, რადგან ოპერებში სასიმღერო ნომრების გარდა, ბევრი სალაპარაკო დიალოგიც გვაქვს. ამდენი ტექსტის სწავლასა და თარგმნაში, ესპანურიც „შემომესწავლა“. რეჟიმს რაც შეეხება, 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ, მათ შორის, შაბათ-კვირასაც. ხშირად ტარდება კონცერტები, ახლახან ორკესტრის თანხლებით გავმართეთ კონცერტი. აქაც მასტერკლასებზე მსოფლიო ვარსკვლავები ჩამოდიან: ევა მეი, ჯაკომო არაგაი, მარიელა დევია... გვყავს არაჩვეულებრივი პედაგოგები. ერთდროულად ვართ ჩართულები სხვადასხვა პროექტსა და ღონისძიებაში.

**- ევროპული საოპერო სფერო რით განსხვავდება საქართველოსგან?**

- როდესაც ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში ვსწავლობდი, მაშინ არ იყო იმის ფინანსური საშუალება, რომ წლის განმავლობაში, მინიმუმ ერთი ოპერა მაინც დაგვედგა. იმდენად მწირი იყო ბიუჯეტი, რომ რეალურად ვერ ვახერხებდით მიღებული ცოდნის სპექტაკლში რეალიზებას. კონცერტები კი ნამდვილად ბევრი ტარდებოდა. დღეს უკვე იმართება გრანდიოზული კონცერტები ბრწყინვალე დირიჟორებთან ერთად, იდგმება არაჩვეულებრივი სპექტაკლებიც. საქართველოს ჰყავს შესანიშნავი მომღერლები, რომლებიც მსოფლიო მასშტაბით არიან ცნობილები. ჩვენი კულტურა ოდითგანვე იმდენად მაღალი იყო, რომ შედარება მხოლოდ მატერიალური კუთხით თუ შეიძლება. სხვა მხრივ - შესრულების, თამაშისა თუ ხარისხის დონით არავის ჩამოვუვარდებით.

**- თავისუფალ დროს რითი ერთობით?**

- თავისუფალი დრო? არ ვიცი, რას ნიშნავს, ამ სიტყვის მნიშვნელობაზე უნდა დავფიქრდე. ჩემი უმნიშვნელო თავისუფალი დრო პროდუქტის ან ტანსაცმლის ყიდვას ხმარდება. როგორც კი გამომიჩნდება მცირედი დრო შუადღეზე, გარეთ გავდივარ და ვსეირნობ, რადგან დილიდან ღამემდე დახურულ სივრცეში ვმუშაობთ და მთელი დღის განმავლობაში მზესაც ვერ ვხედავ.

**- ესპანელმა მამაკაცებმა ხომ არ დაიპყრეს თქვენი გული?**

- სულ მიკვირდა, როცა ამბობდნენ, პირადი ცხოვრებისთვის დრო არ მრჩებაო. ეს ერთგვარი მითი მეგონა, მაგრამ აღმოჩნდა, რომ შესაძლებელია, არ გქონდეს დრო ამისთვის. იმის გათვალისწინებით, რომ ხშირად ვმოგზაურობ, ვიცვლი საცხოვრებელ ადგილს, მაქვს წარმოუდგენელი გრაფიკი და ასე შემდეგ, მაინც ფოკუსირებული და ორიენტირებული ვარ ჩემს პროფესიულ საქმიანობაზე. მეორე მომენტიც არის - ალბათ, ჯერ არ შემხვედრია ისეთი ადამიანი, რომლისთვისაც შევძლებდი დროის გამონახვას. ვფიქრობ, როდესაც გულწრფელად გიყვარს, ყოველთვის გამოჩნდება დრო, რომელსაც მას დაუთმობ.

**- ნოსტალგია ხომ არ გიპყრობთ?**

- მიუხედავად იმისა, რომ ვახერხებ წელიწადში ერთ-ორჯერ ჩამოსვლას, ვასწრებ ჩემი ოჯახის, მეგობრების და ქვეყნის მოსიყვარულებას, მაინც სულ მენატრება საქართველო. ამჟამად ძალიან დატვირთული ვარ, ერთი წლის პროგრამა წინასწარ მაქვს გაწერილი, თუმცა, სამომავლოდ, რა თქმა უნდა, საქართველოს დავუბრუნდები. დიდი სურვილი მაქვს, ჩემი გამოცდილება და ცოდნა მთლიანად ჩემს სამშობლოს მოვახმარო!

# თეატრში ნაპოვნი თავისუფლება

მე-7 გვერდიდან

**- თუ არსებობს გამოკვეთილი ჟანრი, რომელსაც თვლით, რომ თქვენია?..**

- ჯერ ზუსტად ვერ ვიტყვი, რომელ ჟანრში ვგრძნობ უფრო კომფორტულად თავს, მაგრამ ამ ეტაპზე, უფრო დრამისკენ ვიხრები, თუმცა სულ მალე კომედიური ჟანრის სპექტაკლის „მილიონერის ანდერძი“ პრემიერა შედგება, რომელშიც ვმონაწილეობ და მიმაჩნია, რომ საკმაოდ რთულად სათამაშოა კომედიური ჟანრი.

**- როგორ ფიქრობთ, დღეს თეატრი ახმოვანებს იმას, რაც საზოგადოებაში ხდება?**

- ნაწილობრივ - კი. რაღაც ტიპის პროტესტს, თუ მთლიანად სპექტაკლი ვერ, კონკრეტული პერსონაჟი მაინც ახმოვანებს და აღნიშნულ პრობლემაზე ყურადღებას ამახვილებს.

**- ინტერესები თეატრს მიღმა, რომლებიც გაძლევთ სტიმულს, წარმატებული იყოთ პროფესიაში...**

- ლიტერატურა, წიგნის კითხვა არის ის პროცესი, როცა სულიერად ვისვენებ. როგორც როლის თამაშისას მემართება, ისე ვარ კითხვის დროსაც - ვწყდები ყოველგვარ რუტინას და ვარ თავით ბოლომდე იმ ემოციაში გადაშვებული, რასაც წიგნში ვკითხულობ, განვიცდი. რა თქმა უნდა, კითხვა გვეხმარება ყველაფერში და, პირველ რიგში, პროფესიაში. ხანდახან, წიგნის გმირები, სპექტაკლის პერსონაჟებისთვის მიმმსგავსებია. საოცარ ემოციებს იწვევს კითხვა, რომელიც სულ სხვა წარმოსახვით კარებს გიხსნის ცხოვრებაში. კიდევ ერთი ინტერესი, სადაც სრულ თავისუფლებას ვგრძნობ და ვისვენებ ყველაფრისგან, არის მოტოციკლით სეირნობა, მიყვარს ექსტრიმი. ვფიქრობ, თეატრიც ექსტრიმია, რადგან ის ცოცხალი ორგანიზმია, სადაც მოვლენები ხშირად ელვის სისწრაფით ვითარდება.

**- რამდენად გაბრკოლებთ სცენაზე ის ემოციები, რაც თქვენს რეალურ ყოველდღიურობაში ხდება?**

- რაც ყოველდღიურობაში გვდევს, გარეთ უნდა დავტოვოთ, როცა თეატრში შევდივართ. აი, მაგალითად, ზუსტად პრემიერის დღეს იყო ბაბუაჩემის დაკრძალვა, რომელზეც არ ვყოფილვარ - სპექტაკლში ვითამაშე.

**- როგორია შეყვარებული ზურაბ გორგილაძე?**

- ვფიქრობ, ზედმეტად რომანტიული. კონკრეტულად ვერ ვარქმევ სახელს, როგორი ვარ ამ დროს, მაგრამ როცა მიყვარს, ჩემში ერთგვარი ქაოსია, ოღონდ - კარგი გაგებით.

**- თუ გაქვთ რაიმე ჩვევა, რიტუალი, რომელსაც მიმართავთ სპექტაკლის წინ?**

- კი. სპექტაკლის წინა დღეს ან თუნდაც იმ დღეს უნდა შევიყუჟო სადღაც, მოვწყდე ყველას, ყველაფერს, ჩავრთო მუსიკა და განვმარტოვდე. მუსიკის მოსმენისას ყველა იმ ენერგიას, რაც მაქვს დაგროვილი, თითქოს გარეთ ვუშვებ და ვთავისუფლდები. პრემიერის წინა დღეებში ცოტათი „ვიღრინები“, გაღიზიანებული ვარ ყველა იმ ფიქრით, თავში რომ მიჩნდება იმ დროს.

**- რას გაძლევთ ქალაქი, სადაც ცხოვრობთ?**

- ყველაფერს - იმ სევდას და სიხარულს, რომელიც შეიძლება იმ მომენტში მჭირდებოდეს ან ხვალ



დამჭირდეს. ასე მგონია, ბათუმი თითოეულ ადამიანზე მორგებული ქალაქია.

**- რამდენიმე წლის შემდეგ თქვენზე, როგორც მსახიობზე, რა გინდათ, თქვას საზოგადოებამ?**

- რთული კითხვაა. პირველ რიგში, მინდა პროფესიულად ბევრად განვითარებული ვიყო, ვიდრე დღეს ვარ. ვფიქრობ, თუ შენს მთელ რესურსს ჩადებ პროფესიაში, აუცილებლად დაინახავს ამას საზოგადოება, რომელიც დაგაჯილდოებს სიყვარულითა და გულწრფელი აპლოდისმენტებით.

**- როგორც ვიცი, ზაზა ხალვაშის ფილმში მიიღეთ მონაწილეობა.**

- საბედნიეროდ, მხვდა პატივი ბატონი ზაზას ბოლო ფილმში „ლოტო“ მეთამაშა და მიმეღო უდიდესი სიამოვნება მასთან, როგორც ადამიანსა და როგორც რეჟისორთან მუშაობისას. მართლაც განსაკუთრებული იყო გადაღების პროცესი, რომელიც არასდროს დამავიწყდება.

**- კრიტიკის როლი - თეატრისთვის.**

- ჩემი პოზიციიდან ვიტყვი: მიმაჩნია, რომ ყველაზე საუკეთესო რამ არის კრიტიკა. ჯანსაღ კრიტიკაზე მეტად, ვფიქრობ, არაფერი ზრდის მსახიობს. პირადად მაძლიერებს კრიტიკა, უფრო მეტის გაკეთების სურვილს ბადებს ჩემში.

**- თქვენთვის თავისუფლება არის....**

- თეატრი, სცენა, რასაც რეალურ ცხოვრებაში, არაერთი ფაქტორის გამო, ვერ ვახერხებ. თეატრში შესაძლებლობა მაქვს, სხვა პერსონაჟის სახით ვიყო ის თავისუფალი ზურა, რომელიც რეალურად ვარ შინაგანად.